გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთია

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№103 (998) 27 – 28 ოქტომბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

დავით კირვალიძე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას ქმნის

გვ. 6

სქემა, რომლითაც ნაციონალები „ოცნების“ დამხობას გეგმავენ

15-დან 23 ნოემბრამდე

გვ. 3

„ექსტრემისტული დაჯგუფებების მიერ უნდა განხორციელდეს პროვოკაციები...“

ექსკლუზიური ინტერვიუ გარდაბნელ ალსაკალებთან

გვ. 4-5

ვინ არიან ალსაკალები, როგორ ცხოვრობენ და რას ფიქრობენ გარდაბნელი აზერბაიჯანელები გახშირებულ რელიგიურ და ოჯახურ კონფლიქტებზე

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

მცირე და საშუალო ბიზნესს 35 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსებს

გვ. 5

მწნილისა და მურაბის ფესტივალი „თბილისობაზე“ დაიხურა

გვ. 7

საქართველოში პრეზერვატივების კრიზისია!

პრეზერვატივის იმპორტი 9 900 ტონით შემცირდა — რას წერს Financial

გვ. 6

მარტყოფში უცხოელი დევნილებისთვის ახალი თავშესაფრის მშენებლობა იწყება

დღეს, 27 ოქტომბერს, თავშესაფრის მაძიებელთა მარტყოფის მიმღები ცენტრის ახალი ფრთის მშენებლობის დაწყებასა და საძირკვლის გაჭრის ცერემონიას, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ ნორლანდი, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის უფროსი ვიცე-პოლკოვნიკი მეთიუ სმიტი და ორმხრივი ურთიერთობის ოფიცერი მაიორი კოლინ ტომპსონი დაესწრებიან.

საქართველო უკვე იმ საერთაშორისო კონვენციებისა და პროტოკოლების ხელმომწერი ქვეყანაა, რომლებსაც საფუძვლად ლტოლვილთა ჰუმანური მოპყრობა უდევს. საქართველოს განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო კი ის უწყებაა, რომელიც საქართველოში თავშესაფრის საძიებლად ჩამოსული პირების დაცვისა და თანადგომის სფეროში ძირითად როლს ასრულებს. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში 2010 წლიდან დღემდე, 5000 ლტოლვილი დარეგისტრირდა.

სირიასა და ერაყში მიმდინარე კონფლიქტების შედეგები საქართველომაც იწვნია, რადგან ბოლო ორი წლის განმავლობაში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი გაათმაგდა. შესაბამისად, ლტოლვილთა მოზღვავებამ ქვეყანა მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე დააყენა. ლტოლვილთა დაახლოებით 60% ერაყელი, ხოლო 40% სირიელია. 2013 წელს, იმ 700 პირიდან, რომლებმაც თავშესაფარი ითხოვეს, 50%-ს არ სჭირდებოდა საცხოვრებლით დაკმაყოფილება, 10% დასახლდა არსებული ცენტრის ტერიტორიაზე, ან სამინისტრომ გაიღო მათი საცხოვრებლის ხარჯი, ხოლო დარჩენილი 40% ბედის ანაბარა დარჩა, რომელთა უმრავლესობაც მარტოხელა ქალებსა და ოჯახებს წარმოადგენს.

ამჟამად საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა ერთადერთი მიმღები ცენტრი ფუნქციონირებს, რომელიც გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის დახმარებით აშენდა და რომელიც 60 პირზეა გათვლილი. მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფარს უამრავი ადამიანი ითხოვს, ცენტრი უკვე ბოლომდეა შევსებული.

თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის ახალ ფრთას კაცებისა და ქალებისთვის გათვლილი ახალი სველი წერტილები და სამზარეულოები ექნება. გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი ერთადერთი გარე ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოს მთავრობას აღნიშნულ სფეროში უწევს დახმარებას, მაგრამ ორგანიზაციას ცენტრის გაფართოებისთვის საკმარისი სახსრები აღარ გააჩნია. ამიტომ აშშ-ს მთავრობის თავდაცვის დეპარტამენტის ევროპული სარდლობის დახმარება ამ კუთხით უმნიშვნელოვანესია, იმის გათვალისწინებით, რომ ერაყიდან და სირიიდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა სწრაფად იზრდება.

დეტალურ ინფორმაციას სოზარ სუბარის უწყება ამ ეტაპზე არ ასაჯაროებს. როგორც დევნილთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განგვიცხადეს, პროექტის მნიშვნელობაზე მინისტრი ცერემონიის დასრულების შემდეგ ისაუბრებს.

რუსუდან შელია

სახალხო დამცველის თქმით, სოფელ მოხეში განვითარებული მოვლენები ხელისუფლების ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები შეხვდნენ სამცხე-ჯავახეთის მუფტს, სოფელ ჭელას წინამძღვარს და ადგილობრივ მუსლიმ თემს, რომელთა ინფორმაციით, 27 ოქტომბერს კვლავ იგეგმება სოფელ მოხეში სადავო შენობის დემონტაჟის გაგრძელება. მათი შეფასებით, მსგავს ქმედებას სოფელ მოხეში, შესაძლოა, ვითარების რადიკალიზება მოჰყვეს.

„საქართველოს სახალხო დამცველი ითვალისწინებს რა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა, ასევე საქართველოს საპატრიარქოს მიერ სოფელ მოხეში განვითარებული მოვლენების შესახებ გაკეთებულ განცხადებებს, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს აღნიშნული საკითხის დიალოგის რეჟიმში განხილვის აუცილებლობას, ხოლო განხილვამდე — დემონტაჟის შეჩერებას. საქართველოს კანონმდებლობით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო სწორედ ის ორგანოა, რომელიც რელიგიის საკითხებზე, მათ შორის სადავო ნაგებობებთან დაკავშირებული დავების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა იყოს ჩართული. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს განცხადებით, ისევე, როგორც სამცხე-ჯავახეთის მუსლიმი მოსახლეობის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებისთვის მოწოდებული ინფორმაციით დასტურდება, რომ სოფელ მოხეში მდებარე ნაგებობასთან დაკავშირებით ადგილობრივმა თვითმმართველობამ ისე მიიღო გადაწყვეტილება, საკითხის განხილვაში მონაწილეობა სააგენტოს არ მიუღია. ამასთან, სამცხე-ჯავახეთის მუფტმა საქართველოს სახალხო დამცველს მიაწოდა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ მუსლიმი მოსახლეობის მოთხოვნებით განცხადებები შეტანილი იყო, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ასევე რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში“, — ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

სახალხო დამცველის რწმუნებულები 24 ოქტომბერს იმყოფებოდნენ სოფელ მოხეში, იქ განვითარებული მოვლენების შესწავლის მიზნით. ისინი შეხვდნენ და გაესაუბრნენ სოფლის მუსლიმ და მართლმადიდებელ მოსახლეობას, 2014 წლის 22 ოქტომბერს სოფელ მოხეში დაკავებულ პირებს, ასევე, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალციხისა და ბორჯომის დროებითი მოთავსების იზოლატორებში, სადაც 2014 წლის 22 ოქტომბერს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში დაკავებული პირების დროებით მოთავსების იზოლატორში განთავსებისა და გარეგანი დათვალიერების ოქმებს გაეცნენ.

„ადგილობრივი მუსლიმების ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ 22 ოქტომბერს საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ გამოყენებული იქნა გადამეტებული ძალა მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ. დროებითი მოთავსების იზოლატორში შედგენილი გარეგნული დათვალიერების ოქმები კი ადასტურებს, რომ დაკავებულ პირებს სხეულზე აღენიშნებოდათ სხვადასხვა სახის დაზიანება“, — აცხადებს საქართველოს სახალხო დამცველი და სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ დაიწყონ გამოძიება პოლიციელების მიერ 22 ოქტომბერს სავარაუდო ძალის გადამეტების ფაქტებზე და უმოკლეს ვადებში გააცნონ საქართველოს სახალხო დამცველსა და საზოგადოებას გამოძიების შედეგები. აუცილებელია, მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ გამოყენებული გადამეტებული ძალის ფაქტები არ დარჩეს დაუსჯელი.

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ადგილობრივი მუსლიმები ასევე საუბრობენ სადავო ნაგებობის დასუფთავებაში პოლიციის წარმომადგენლების მონაწილეობაზე მაშინ, როცა საქართველოს პოლიცია საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად. სახალხო დამცველი ხელისუფლებას მოუწოდებს, იმოქმედოს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად და არ დაუშვას რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დარღვევა.

სახალხო დამცველი სოფელ მოხეში განვითარებული მოვლენების შესწავლას განაგრძობს.

„ინტერპრენიუსი“

ვერსიანიუსი

თბილისში ავტომუზეუმი გაიხსნა

პრეზენტაციას თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ალიბეგაშვილი და საკრებულოს დეპუტატები, ასევე თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ნარმანია დაესწრნენ. იდეის ავტორი და მუზეუმის დამფუძნებელი კერძო კოლექციონერი, ქართველი ბიზნესმენი გიორგი მამულაშვილია, რომელმაც დამთვალიერებლებს 24 რარიტეტული მანქანა წარუდგინა.

წარმოდგენილ კოლექციაში დამთვალიერებელს „ზილ-115“,-ის, „გაზ-014“-ის, „გაზ-22“-ის, „გაზ-12“-ის, „ჟიგული 01“-ის, „ჟიგული 03“-ის, „ზაზ- 965“-ისა და ბევრი სხვა მანქანის ნახვის შესაძლებლობა ექნება, რომლებიც მნახველს საინტერესო ისტორიებსაც შესთავაზებენ. მაგალითად, „ზილ-115“, უნიკალური ჯავშნიანი ავტომობილია, რომელსაც პოლიტბიუროს წევრები დაჰყავდა, ამის გამო მას მეტსახელად „წევრმზიდი“ შეარქვეს. ამ მოდელის მხოლოდ 106 მანქანა გამოვიდა საბჭოთა კავშირში, გიორგი მამულაშვილის ავტომუზეუმის ექსპონატი კი რიგით 102-ეა.

მუზეუმის წარმომადგენლის განცხადებით, შემოსავალი მხოლოდ მუზეუმის შენახვას მოხმარდება. ავტომუზეუმი, სამომავლოდ, ბევრი სიახლის განხორციელებას გეგმავს.

„მუზეუმის ტერიტორიაზე გაიხსნება კაფე, წარმოდგენილი იქნება რეტროტროლეიბუსი. ასევე გვექნება სერვისი, რომელიც მსურველს საკუთარი რეტრომანქანის შეკეთება-განახლებას შესთავაზებს“, — აღნიშნავენ მუზეუმში.

გიორგი მამულაშვილი მუზეუმში წარმოდგენილ მანქანებს 17 წლის განმავლობაში აგროვებდა, არემონტებდა და ახლა უკვე ეს მანქანები მუზეუმშია გამოფენილი.

აღსანიშნავია, რომ უსახელო ქუჩას, რომელზეც მუზეუმის შენობაა განთავსებული თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით და საკრებულოს თავმჯდომარის მხარდაჭერით ავტომუზეუმის ქუჩა დაერქვა, რისი დამადასტურებელი დოკუმენტიც მუზეუმის დამფუძნებელს გიორგი ალიბეგაშვილმა საზეიმო ვითარებაში გადასცა. მუზეუმის გახსნაზე მუზეუმის საპატიო მცველების წოდება მიენიჭა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, გიორგი ალიბეგაშვილსა და მერს, დავით ნარმანიას.

მუზეუმის დამფუძნებელმა, გიორგი მამულაშვილმა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„დიდ მადლობას ვუხდი თბილისის საკრებულოს ავტომუზეუმის გახსნის საკითხის მხარდაჭერისთვის, ასევე იმისთვის, რომ ქუჩას, სადაც მუზეუმია განთავსებული ავტომუზეუმის სახელი მიენიჭა“, — განაცხადა გიორგი მამულაშვილმა.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, კი აღნიშნა, რომ სასიხარულოა მსგავსი მუზეუმის გახსნა, სადაც დამთვალიერებელს საკმაოდ საინტერესო სანახაობა ელის. ამასთანავე, გიორგი ალიბეგაშვილმა მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრს, შალვა ოგბაიძეს ქუჩისთვის ავტომუზეუმის სახელის მინიჭების იდეისთვის.

„ამ საქმეში საკრებულოს წვლილი ისაა, რომ ბატონი შალვას წინადადებით ამ ადგილსა და ქუჩას დაერქვა ავტომუზეუმის ქუჩა. ეს არის ჩვენი მხარდაჭერა, რომელიც ამ საქმეს სჭირდება. დღეს, მოგეხსენებათ, მეორე დღეა თბილისობისა და ჩვენ მოქალაქეებს გია მამულაშვილმა და შალვა ობგაიძემ ეს უმშვენიერესი დღე აჩუქეს. სასიხარულოა, რომ თბილისში ამდენი ავტომოყვარულია. ვინც ავტომობილების ისტორიითაა დაინტერესებული, ყველას ვურჩევ, მობრძანდეს აქ და დაწყებული 1934 წლიდან დღემდე თითქმის სრულად იხილავს იმ ავტომობილებს, რომლებიც საქართველოში შემოუყვანიათ. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ საბჭოთა კავშირის დროინდელ ავტომობილებს, თუმცა მათ შორის ძველი „მერსედესი“, „ბეემვე“ და სხვა მანქანებიცაა. ასე რომ, ყველას ვურჩევ, მობრძანდეს და დაათვალიეროს ავტომუზეუმი“, — აღნიშნა გიორგი ალიბეგაშვილმა.

„ჯი-ეიჩ-ენი“



გიორგი გიორგაძე

აი, ასე: მიშა რევოლუციურ ტურბულენტობას განიცდის და ერს, პრაქტიკულად, სახელმწიფო ამბოხისკენ მოუწოდებს. მართალია, პრეზიდენტყოფილს სიტყვა აჯანყება არ უხსენებია და, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, იტყვის, რაღაცებს მიგონებენო, მაგრამ ბოლო სატელევიზიო გამოსვლისას პირდაპირ თქვა, რომ „ოცნების“ არჩევნების გზით შეცვლა წარმოუდგენელია, რადგან „შუშის კოლბაში მჯდარმა, კანონიერი ქურდის სტილის“ ოლიგარქმა ანუ ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილმა საარჩევნო სისტემა გააუქმა და საქართველო „დააპრივატაო“ ამავე გამოსვლისას სააკაშვილმა რამდენჯერმე ისიც თქვა, „ოცნებამ“ საქართველო „გააბანძაო“.

რა უნდა მიშას და, საერთოდ, ნაცმოძრაობას? — ეს, რასაკვირველია, გულუბრყვილო კითხვაა, რამეთუ ბავშვმაც კი იცის, რომ „ყოფილები“ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად იბრძვიან. შეიძლება, ვინმემ თქვას, ნაციონალების ბრძოლა რაში გამოიხატებაო, მაგრამ, თუკი ბოლო მოვლენებს კარგად დავაკვირდებით, ყველაფერი გასაგები გახდება.

დავიწყოთ იმით, რომ რამდენიმე კვირაა, შსს-ს მაღალჩინოსნები აცხადებენ, 315-ე მუხლით სისხლის სამართლის საქმეა აღძრულიო. ეს მუხლი პირთა ჯგუფის ან პოლიტიკური გაერთიანების მიერ სახელმწიფო წყობილების დამხობას ითვალისწინებს. მართალია, ოფიციალური უწყებებიდან არავის მიუნიშნებია, რომ ეჭვი ნაცმოძრაობაზე არსებობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიშას პოლიტიკური და-ძმები ერთ ამბავში არიან, „ოცნება“ ოპოზიციურ პარტიას რაღაცებს აბრალებსო.

მოგეხსენებათ, ქართული სიბრძნეა, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდებაო... ჰოდა, ნაციონალებმაც ითმინეს, ითმინეს და „აიწყვიტეს“: ვიდრე მიშა ზემოხსენებულ განცხადებას გააკეთებდა, ნაცმოძრაობის ოფისში „ყოფილების“ „ნაღები საზოგადოება“ შეიკრიბა და მრავალმნიშვნელოვნად გვამცნო, 15 ნოემბერს, აფხაზეთისა და სხვა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების მოთხოვნით, მიტინგს გავმართავთ და ვისაც გული შეგტკივათ, გვერდით დაგვიდექითო.

დაკარგულ ტერიტორიებზე ზრუნვა, რასაკვირველია, კარგი და მისასალმებელია, მაგრამ ყველაფერი ეს, ისეთი პირი უჩანს, დიდი პოლიტიკური თამაშის დასაწყისია ანუ ნაცებმა გადასარევად იციან, რომ ქართველებისთვის ყველაზე სუსტი წერტილი ღირსება და სამშობლოა. შესაბამისად, „ყოფილებს“ რომ ეთქვათ, „ოცნების“ შეუსრულებელ დაპირებებს ან, სულაც, ნაცების წინააღმდეგ დაწყებულ პოლიტიკურ დევნას ვაპროტესტებთო, ხალხი ქუჩაში არ გავიდოდა, ახლა კი, სასწორზე აფხაზეთი დევს, თავისი 300 ათასი დევნილით. აკი, მიშამაც თავის ბოლო „ტურბულენტობაში“ სწორედ აფხაზეთზე იუბნა და თვალცრემლიანმა მოგვახსენა, მსოფლიოში აფხაზეთი აღარავის ახსოვსო.

ერთი სიტყვით, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ნაციონალებს მუხტის ასაწევად თემა სჭირდებათ და, ალბათ, თვლიან, რომ 15 ნოემბრის აქცია მრავალრიცხოვანი იქნება, მაგრამ აქედანვე ჩანს, რომ ეს „მრავალრიცხოვნობა“ ილუზიაა და აი, რატომ:

გარდა იმისა, რომ ნაცმოძრაობას რეიტინგი არ აქვს და ხალხს აქციაზე დაშინებითაც ვეღარ მიიყვანს (როგორც ამას 9 წლის განმავლობაში აკეთებდა), დიდი „ხვითოები“ არც არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები არიან. კი ბატონო, ნაც-ფართიზე, ალბათ, ბაჩუკი ქარდავაც მივა, პაატა დავითაიაც და ზურაბ ხარატიშვილიც, მაგრამ ამ პოლიტიკურ ლიდერებს ხომ საზოგადოებაში არც წონა აქვთ და, შესაბამისად, არც მხარდამჭერთა არმია ჰყავთ?!

ასე რომ, 15 ნოემბერი, ლოგიკას თუ გავყვებით, წმინდა პროვოკაციის იმედად უნდა იყოს.

რისთვისაა პროვოკაცია საჭირო? — ხომ გახსოვთ, მიშამ რაც თქვა, ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა წარმოუდგენელიაო. ჰოდა, ერთი-ორი პროვოკაცია და მისი ჯანი — ვთქვათ, რომელიმე მართლმორწმუნე ნაციონალს თავისივე თანამოძმეები გაასილაქებენ ან, უკიდურეს შემთხვევაში, დაჭრიან და ერთი ამბავიც ატყდება.

სხვათა შორის, ამავე სცენარზე საუბრობს „თავისუფალი თაობის“ ლიდერი ლადო სადღობელაშვილიც.

„როგორც ჩვენთვის დადასტურებული ინფორმაციით ცნობილი გახდა, 3 დღის წინ, მიხეილ სააკაშვილმა აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში შეკრიბა თავისი ბანდის წევრები, ე.წ. დეპუტატები და „თავისუფალი ზონის“ კრიმინალურ-ექსტრემისტული დაჯგუფების ლიდერები. ამ შეხვედრაზე სააკაშვილმა ღიად განუცხადა თავისი კრიმინალური ბანდის ლიდერებს, რომ აუცილებელია საქართველოში პოლიტიკური ვითარების ესკალაცია, პროვოკაციების მოწყობა, რელიგიურ და სოციალურ ნიადაგზე დაძაბულობა და სხვა უკანონო ქმედებები. მან უსაყვედურა „თავისუფალი ზონის“ ლიდერებს იმის გამო, რომ იმ კოლოსალური თანხის სანაცვლოდ, რასაც უხდიან, არაფერს აკეთებენ.

როგორც ცნობილი გახდა, ნაკრიმინალთა პროვოკაციული ქმედებები უნდა დაიწყოს შედარებით მცირე აქციებით, უნდა აიწიოს დაძაბულობის ტემპერატურა და ყველაფრის საბოლოო დაგვირგვინება უნდა გახდეს 23 ნოემბერი ანუ ე.წ. ვარდების რევოლუციის წლისთავი. 23 ნოემბრისთვის უნდა მოხდეს მთელი ნაცმოძრაობის მობილიზაცია საქართველოს მასშტაბით, რაიონებიდან ხალხის თბილისში ჩამოყვანა, ექსტრემისტული დაჯგუფებების მიერ უნდა განხორციელდეს პროვოკაციები, რაც სააკაშვილის დავალებით უნდა გახდეს არეულობის დაწყების საბაბი.

გვინდა, მივმართოთ მიხეილ სააკაშვილს, ნაცმოძრაობას, „თავისუფალ ზონასა“ და სხვა მარგინალურ-ექსტრემისტულ დაჯგუფებებს. კარგად მოისმინეთ და გაითავისეთ ის, რასაც ქვევით წაიკითხავთ:

არც გაბედოთ, რომ თქვენი სისხლიანი ხელები აფათუროთ ქვეყანაში დესტაბილიზაციის პროვოცირებისთვის, ნუ გააკეთებთ იმას, რომ ხალხმა და საქართველოს პროგრესულმა საზოგადოებამ თქვენი ე.წ. ვარდების რევოლუციის წლისთავზე საბოლოოდ დაასამაროს ყველაფერი, რაც თქვენთან ასოცირდება, ნუ აყვებით მშიშარა, ავანტიურისტ და ავადმყოფ სააკაშვილს, მისთვის ყველაფერი დამთავრებულია და თქვენ გიყენებთ საზარბაზნე ხორცად, რათა თავისი მანიაკალური სურვილები აისრულოს, მისთვის თქვენ არაფერს წარმოადგენთ და, თუ მაინც გაბედეთ და მოაწყვეთ პროვოკაცია, იცოდეთ, რომ ისევე მიგატოვებთ, გაიქცევა და საზღვარგარეთ დაიმალება, როგორც 2008 წლის აგვისტოში მიატოვა ჩვენი გმირი ჯარისკაცები რუსული არმიის პირისპირ. ჩვენ თქვენ გაგაფრთხილეთ და ამიერიდან, თქვენი ნებაა, რასაც იზამთ. საქვეყნოდ პირობას ვდებთ, რომ მთელ პროგრესულ ქართულ საზოგადოებას დავრაზმავთ თქვენი კრიმინალურ-ექსტრემისტული ჩანაფიქრის ასალაგმად“, — აცხადებს სადღობელაშვილი, რომელმაც „თავისუფალი თაობა“ ე.წ. ყაზარმულ მდგომარეობაზე გადაიყვანა.

სადღობელაშვილის მონაცემები, შესაძლოა, გადაჭარბებულია, მაგრამ ის, რომ რამდენიმე დღის წინ, სააკაშვილი ბაქოში იმყოფებოდა, თავად ნაციონალებმაც დაადასტურეს.

ყველა მონაცემით, „ყოფილები“ ვარდების რევოლუციის მე-11 წლისთავის აღნიშვნას, როგორც ჩანს, პომპეზურად აპირებენ. ამის დასტურად, ნაცაქტივისტების Facebook-სტატუსტებიც გამოდგება. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი ნაციონალი სოციალურ ქსელში ლექსად წერს:

„ამაღამდელო ღამეო,
ნუ გათენდები მალეო,
თავს ურტყამს „ქოცი“ კედელსა,
მიშა ჩამოვა მალეო...“

მიშას ჩამოსვლამდე, როგორც ცხონებული ბებიაჩემი იტყოდა, არაფერი გვეტკინოს, მაგრამ საქმე სახუმაროდ ნამდვილად არ არის, მით უმეტეს, რომ ხელთათმანი უკვე ნასროლია და ახლა ჯერი „ოცნებაზეა“: თუ ხელისუფლება წაუყრუებს, 15 ნოემბერს შესაძლოა, ისეთი მოვლენები მართლაც დაიწყოს, რომელიც 2003 წლის ნოემბერში უკვე ვნახეთ.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მიშას სიმბოლოები უყვარს — „ვარდების რევოლუცია“ თავის დროზე ერთ გიორგობას დაამთხვია, ასლან აბაშიძის საქართველოდან გაშვება მეორეს. ახლაც თუ კარგად დავაკვირდებით, სიმბოლოების ენით „გვეღაღადება“, თან ეკრანზე „ჩაკასტუმებული“ კი არა, კუბოკრული პერანგითა და პულოვერით გამოგვეცხადა ანუ ისე, როგორც ტიპურ რევოლუციონერს შეშვენის.

მოკლედ, მიშა თავის ამპლუაშია და, პრინციპში, ასეც უნდა იყოს, რადგან სხვა გზა არ დარჩენია: ქართულ სამართალდამცავებს თავი რომ გავანებოთ, უცხოელი ექსპერტებიც ადასტურებენ, რომ ნაციონალების მმართველობის 9 წელი რეჟიმი იყო ანუ, ადრე თუ გვიან, სამართალი იზეიმებს და მიშას, როგორც ჩანს, ურჩევია, ციხეში გმირად წავიდეს, ვიდრე დამნაშავედ. ყოველ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გადატრიალების საბაბით ექსპრეზიდენტი გისოსებსმიღმა აღმოჩნდება, მისი მცირერიცხოვანი ფანები იტყვიან, „ოცნებამ“ პუტინის დავალება შეასრულაო. ისე, ეს ის პუტინია, რომელსაც სააკაშვილი 2004 წლის თებერვალში, როგორც პრეზიდენტი, კრემლში ეახლა და, როგორც ამბობენ, საიდუმლოდ რაღაცებზეც მოეთათბირა. ისიც ფაქტია, რომ სწორედ მიშას პრეზიდენტობის დროს, გენერალოვი და სხვა რუსი ინვესტორები, რომლებიც ფსბ-სა და სხვა რუსულ სპეცსამსახურებთან „მეგობრობაში“ არიან შემჩნეულნი, საქართველოში თავიანთ ნებაზე „დაკუნტრუშობდნენ“. ჰოდა, ახლა აფხაზეთის დაცვის მოტივით ნაციონალთა „ცრემლების ღვრა“ ცოტა დაუჯერებელია. ყოველ შემთხვევაში, 15 ნოემბერს დიდი პროვოკაციის სუნი ასდის...

დედაქალაქის საკრებულოს ისტორიული შენობა აღდგენილია

თბილისობა თბილისელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა დედაქალაქის საკრებულოს განახლებული შენობიდან მიულოცა და განაცხადა, რომ განსაკუთრებული და მრავალფეროვნებით გამორჩეული ქალაქი განვითარების ახალ ეტაპს იწყებს.

პრემიერი დარწმუნებულია, რომ საქართველოს დედაქალაქი რეგიონის კულტურული და ეკონომიკური ცენტრი გახდება.

ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისის მთავარ ღირებულებად სხვადასხვა ერის მშვიდობიანი თანაცხოვრება და საკუთარი ქალაქის მიმართ განუსაზღვრელი სიყვარული დაასახელა.

„ესაა ტრადიცია, რომელსაც გაფრთხილება და შენარჩუნება სჭირდება“, — განაცხადა პრემიერმა და თბილისობა კიდევ ერთხელ მიულოცა ყველას, ვისთვისაც თბილისელობა საპატიო და საამაყოა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მ ავღანეთში სამხედრო ოპერაცია ოფიციალურად დაასრულეს

იფორმაციას დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

ინგლისის სამხედრო ბაზა Camp Bastion, რომელიც ავღანეთის პროვინცია ჰელმანდში მდებარეობდა, უსაფრთხოების ეროვნულ ძალებს გადაეცა.

ბრიტანეთის თავდაცვის უწყებაში ასევე განაცხადეს, რომ მისიის დასრულების ცერემონიაზე საერთაშორისო კონტინგენტის შტაბთან აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო დროშები ოფიციალურად დაეშვა.

უწყების ინფორმაციით, ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები საერთაშორისო კონტინგენტის ფარგლებში ავღანეთში 2001 წლიდან არის. ამ პერიოდში სამხედრო ოპერაციის დროს 453 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

„ინტერპრესნიუსი“

ექსკლუზიური ინტერვიუ გარდაბნელ აღსაკალებთან

ირუსუდან შელია
557-100-768

გარდაბნის მუნიციპალიტეტი, საქართველოს სხვა რაიონებისგან კეთილმოწყობილი, ლამაზი სახლებითა და გამგეობის გასარემონტებელი, საბჭოთადროინდელი შენობით გამოირჩევა. სხვა მხრივ კი აქაც იგივე ვითარება და პრობლემებია, რაც დანარჩენ საქართველოში — უმუშევრობა, გაჭირვება... მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის 53,2% ქართველია, 43,7% კი ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ადგილობრივებს ერთმანეთთან ურთიერთობის პრობლემა არ აქვთ. სხვათა შორის, გარდაბანში ჩემი სტუმრობა აზერბაიჯანულ დღესასწაულს დაემთხვა — ქუჩებში ფერადი ლენტები და მისალოცი პლაკატები ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე იყო გამოკრული, საზეიმო განწყობას კი ადგილობრივი ქართველებიც უერთდებოდნენ... გარდაბნიდან გეზი სოფელი ნაზარლოსკენ ავიღე, სადაც რამდენიმე აღსაკალს ანუ აზერბაიჯანელთა უხუცესს შევხვდი. აღსაკალების სიტყვას აზერბაიჯანელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს... მასპინძლებმა ცისფრად შეღებილ სახლში შემიპატიჟეს, აზერბაიჯანული ტკბილეული და ჩაი მომართვეს... გიას ქაზუმოვს, კალეი ლეზგიევს, შამისტან ველიევსა და შახლარ ახმედოვს სიტყვას ბოლო დროს ქართველ მუსულმანებსა და მართლმადიდებლებს შორის გაღვივებულ დავაზე ვუგდებ. თან იქაურობას ვათვალიერებ — ოჯახის დიასახლისი მისვლისთანავე გამაცნო, თუმცა ორსაათიანი სტუმრობისას ქალს ოთახში ყასიდადაც არ შემოუხედავს.

— აზერბაიჯანელი მუსულმანები ქართველ მუსულმანებს სოლიდარობას უცხადებთ? — ვკითხულობ და წინა ღამით, სტუმრისთვის საგანგებოდ მოხარშულ ფლავს ვაგემოვნებ.

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მართლმადიდებლებსა და მუსულმანებს შორის ურთიერთობა გაღრმავდა. ბოლო დროს მომხდარ დაპირისპირებაზე, რასაც ტელევიზიით გადმოსცემენ, რთულია, ჩამოყალიბდე, ყველაფერი ეს რას ან ვის ემსახურება, — **მეუბნება აღსაკალი გიას ქაზუმოვი,** — ამიტომ, ამ ეტაპზე, პროცესს შორიდან ვაკვირდებით. ჩემი აზრით, საბოლოოდ, ყველაფერი კარგად იქნება — იმედის გარეშე ცხოვრება არ შეიძლება.

ყოველთვის ვამბობდი, რომ ადამიანს ერთი საწყისი აქვს. ასწლეულების განმავლობაში სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობა თუ სექტა ჩამოყალიბდა, მაგრამ ყველანი ადამისა და ევას შვილები და ძმები ვართ, ამიტომ ერთმანეთს პატივი უნდა ვცეთ. უნდა გვჯეროდეს უფლის, რომელმაც სამყარო შექმნა და რომლის ხელშიცაა კაცობრიობის მომავალი. **ვატყობ, მასპინძლებს სოფელ მოხესა და ქობულეთში, მედრესეს კარზე გოჭის თავის ჩამოკიდებაზე საუბარი უჭირთ, ამიტომ საუბრის თემას უმნიშვნელოდ ვცვლი და იმის გაგებას ვცდილობ, თუ რას მიიჩნევენ აზერბაიჯანელი უხუცესები 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი სენის, რელიგიური დაპირისპირების მიზეზად.**

აღსაკალებიდან ჯერჯერობით მხოლოდ გიას ქაზმუოვი აქტიურობს:

— საბჭოთა კავშირის დროს ყველაფერი ჩაკეტილი იყო, დღეს კი რელიგია და სახელმწიფო დამოუკიდებელ ინსტიტუტებად ჩამოყალიბდა და თითოეულს საზოგადოებაში საკუთარი გავლენა და ძალა აქვს. ერთს გეტყვით, ქართველებსა და აზერბაიჯანელებს ერთმანეთი გვიყვარს და პატივს ვცემთ...

— არის ძალა, რომელსაც ქართველებისა და აზერბაიჯანელების დაპირისპირება უნდა, — **საუბარში შამისტან ვალიევი ერთვება.** .

— პოლიტიკურ ძალებს გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკის ნაწილია.

ბევრს არ მოსწონს, რომ აზერბაიჯანელებსა და ქართველებს ნავთობსადენი ერთობლივი ძალებით გაგვყავს, საქართველოს ეკონომიკა, დიდწილად, ამაზეცაა დამოკიდებული და სწორედ ამ შეთანხმების ჩაშლა სურთ. ამაში მხოლოდ რუსეთი კი არა, სომხეთიც მონაწილეობს. შეიძლება, ვცდები, მაგრამ ამ ამბავში ვაჰაბიტებიც უნდა იყვნენ გარეულნი. ჩვენ შორის ურთიერთობის გაფუჭება სწორედ მათ ინტერესებშია, თუმცა მოაზროვნე და განათლებულმა ადამიანებმა იციან, რომ ქართველებისა და აზერბაიჯანელების მეგობრობა აუცილებელია, ამიტომ ეს ძალები მიზანს ვერ მიაღწევენ.

20 წელი ვერაფერი დაგვაკლეს და მჯერა, მომავალშიც ყველაფერი კარგად იქნება. აზერბაიჯანელებმა და ქართველებმა ბევრად კრიზისული პერიოდები გამოვიარეთ.

— არჩევნების წინ გარდაბანში მომხდარი დაპირისპირებაც გარეძალების პროვოცირებული იყო?

— რა თქმა უნდა, ჩემი მეგობრების უმრავლესობა სვანია. ჩვენ მეგობრებად დავრჩებით. ერთმანეთთან აზერბაიჯანელებიც ჩხუბობენ. რამდენიმე დღის წინ, ნასვამი აზერბაიჯანელი შემხვდა, ხელებს იქნევდა, მაგრამ მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ასეთი ელემენტები ყველგან არიან, მაგრამ ჩვენ ერთმანეთის კარგი უნდა დავინახოთ.

ოთახში მამაკაცი შემოდის, რომელსაც ხელში სინი უჭირავს. გიყვარს ხაშლამა? — ღიმილით მეკითხებიან მასპინძლები. ცოდვა გამხელილი სჯობსო და, ცხვრის ხორცზე არ ვგიჟდები, მაგრამ ქართული ანდაზა მახსენდება, სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო და ხაშლამას „ვეპარები“... ვხვდები, ცხვრის ნაცვლად, ხბოს ხორცია. ისე, ახლაღა ვაფიქსირებ, რომ აღსაკალები რუსულად მელაპარაკებიან. მოულოდნელად ვკითხულობ:

— ქართული არ იცით?

— ჩვენ თაობას სკოლაში ქართულს არ ასწავლიდნენ, დღეს კი, ჩვენი შვილები ქართულ სკოლებში დადიან და მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს, რომ სახელმწიფო ენა შეისწავლონ, — **მიღიმის შამისტან ვალიევი,** — როცა სახელმწიფო ენა არ იცი, გარკვეულ დოკუმენტებს ვერ კითხულობ, პრობლემებში ვერ ერკვევი, ასე რომ, ქართულის შესწავლა ჩვენ ინტერესებშიც შედის. ჩემმა შვილიშვილმა ქართული ისე კარგად იცის, ოლიმპიადაზეც კი გაიმარჯვა. ჩემი მეგობრების შვილებმაც ქართული უნივერსიტეტები დაამთავრეს. ჩვენი შვილები ქართულ ენას ისე კარგად ისწავლიან, რომ 15-20 წლის შემდეგ, ქართველებსა და აზერბაიჯანელებს ერთმანეთისგან ვეღარ გაარჩევთ.

საქართველო ჩემი სამშობლოა და ძალიან მიყვარს. ახალგაზრდა რომ ვიყავი, მამაჩემი მთხოვდა, ბაქოში დავრჩენილიყავი, მაგრამ ვერ შევძელი. გეფიცები, ჩემი ძალებით დავბრუნდი და ოჯახიც აქ შევქმენი. ჩემი მომავალი თაობაც აქ იცხოვრებს. ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ შესაძლოა, ზოგიერთ ქართველს ისე არ უყვარდეს საქართველო, როგორც ჩვენ გვიყვარს!

შახლარ ახმედოვი: — ქართულად ლაპარაკი მეც მიჭირს, მაგრამ საქართველო მეც ძალიან მიყვარს.

— მსმენია, წინა ხელისუფლებებისთვის ყველა ეთნიკური უმცირესობა „საარჩევნო ბეღელი“ იყო. ახლაც ასეა?

აღსაკალები პირდაპირი პასუხისგან თავს იკავებენ. 84 წლის გიას ქაზუმოვი აზერბაიჯანულ შოკოლად „ტანგოს“ მთავაზობს, თან მეუბნება, სახელმწიფო შესაძლებლობის ფარგლებში მოქმედებსო.

კალეი ლეზგიევი: — რა თქმა უნდა, ბევრი რამ გვინდა. ბევრი პრობლემაც დაგროვდა, მაგრამ ისიც გვესმის, რომ ყველაფრის ერთად მოგვარების ძალა სახელმწიფოს ჯერჯერობით არ აქვს. ყველაფერი ეტაპობრივად გამოსწორდება. ქარხანა არ მუშაობს, ადამიანები ვერ საქმდებიან... რა გააკეთოს ახალგაზრდა ადამიანმა?

კალეი ლეზგიევს კვერს შამისტან ველიევიც უკრავს. მისი თქმით, თავის დროზე გარდაბნის რაიონში უამრავი ქარხანა მუშაობდა, რომელთა აღდგენასაც „ქართული ოცნება“ დაპირდა. გამგებელს კი პირობა მიუცია, გაუფორმებელი მიწების საკითხსაც გადავჭრიო. როგორც გავარკვიე, პრობლემები გადაჭრის პროცესშია... ბატონი შამისტანი იმასაც ამბობს, რომ გარდაბანი, სხვა რაიონებთან შედარებით, შეძლებულია.

„აქაურს შეუძლია, ერთი ტომარა მწვანილი თბილისში წაიღოს და საღამოს ოჯახში ფულით დაბრუნდეს“, — **მეუბნება მასპინძელი.**

— როგორც ვხვდები, თქვენი შემოსავლის წყარო მწვანილია, არა?

შამისტან ველიევი: — დიახ, ძირითადად მიწათმოქმედებითა და მეცხოველეობით ვართ დაკავებულნი. ვისაც მუშაობა არ ეზარება, თავის რჩენა არ უჭირს. ასე რომ, ხელისუფლებაზე განაწყენებულნი არ ვართ.

— ჯავახ სომხებს ოფიციალურ ერევანთან მუდმივი კავშირი აქვთ და ამას არც მალავენ. აზერბაიჯანის სახელმწიფოს თანადგომას თქვენც გრძნობთ?

— რა თქმა უნდა, იქ ნათესავებიც გვყავს. ფიქრობთ, საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენი საჩუქრად გა□ყავთ? საქართველოში „სოკარიც“ მუშაობს და სხვა უამრავი აზერბაიჯანული სამშენებლო კომპანიაცაა შემოსული. ამ კომპანიებში ჩვენც ვმუშაობთ და გვეუბნებიან, რაც კეთდება, თქვენთვის, აზერბაიჯანელებისთვის არისო.

— ესე იგი, ადასტურებთ, რომ „სოკარი“ მხოლოდ აზერბაიჯანელებს ასაქმებს?

— არა... „სოკარი“ ბენზინგასამართ სადგურებს მთელ საქართველოში ხსნის, სადაც მხოლოდ აზერბაიჯანელები კი არა, ქართველები და სომხებიც მუშაობენ. ყველას აქვს მუშაობის უფლება...

ოთახს ვათვალიერებ: შუაგულში ხის ოთხკუთხედი მაგიდა დგას. დასავლეთის კედელზე თეთრი მაქმანებიანი ფარდა კიდია. ფარდის უკან ე.წ. დიდი ოთახია. ჩემი გუმანით, ოჯახის დიასახლისი სწორედ იქ უნდა იყოს... ქალებზე ფიქრით ლოგიკურად შემდეგ კითხვაზე გადავდივარ:

დასასრული მე-5 გვერდზე

„საქართველოს ბანკი“ მცირე და საშუალო ბიზნესს 35 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსებს

ბანკმა გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებასთან სასესხო ხელშეკრულება უკვე გააფორმა

„საქართველოს ბანკი“ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას აქტიურად აგრძელებს. სწორედ ამ მიზნით, ბანკსა და მის დიდი ხნის პარტნიორს, გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებას (DEG) შორის 35 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის სასესხო ხელშეკრულება გაფორმდა. სესხის ვადა 5 წელია და განკუთვნილია მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებისთვის საქართველოში. „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილის, სულხან გვალიას განმარტებით, აღნიშნული ფინანსური რესურსი ბანკს მისცემს შესაძლებლობას, კიდევ უფრო მეტ კლიენტს დაეხმაროს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოებაში. **„ასევე ეს სესხი მოგვცემს საშუალებას, უფრო გავზარდოთ ბანკის კონკურენტულობა მოცემულ სექტორში. „საქართველოს ბანკმა“ გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებასთან (DEG) ხელი მოაწერა ახალ საკრედიტო ხაზს 35 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც განკუთვნილია მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებისთვის. „საქართველოს ბანკს“ მრავალწლიანი და წარმატებული ურთიერთობა აქვს DEG-თან და ეს ახალი ხელშეკრულებაც ჩვენს წარმატებულ თანამშრომლობას უფრო გააღრმავებს“.**

DEG-ის უფროსმა დირექტორმა აზიასა და ევროპაში, ინგრიდ ვან ვეესმა, „საქართველოს ბანკთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას უმნიშვნელოვანესი უწოდა.

ინგრიდ ვან ვეესი: „მოხარული ვარ, რომ ჩვენს დიდი ხნის პარტნიორ „საქართველოს ბანკთან“ უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულება გავაფორმეთ. 35 მილიონი დოლარი — ეს არის ყველაზე დიდი მოცულობის დაფინანსება, რომელიც საქართველოს მასშტაბით გამოგვიყვია. ეს ხაზს უსვამს იმას, რამდენად დიდია ნდობა „საქართველოს ბანკის“ მიმართ.

დარწმუნებული ვარ, ჩვენ არ ვართ ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც „საქართველოს ბანკს“ ასეთ ნდობას უცხადებს. მას შემდეგ, რაც 2006 წელს „საქართველოს ბანკმა“ საკუთარი აქციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე განათავსა, ბევრი სხვა ორგანიზაცია და საერთაშორისო ინვესტორიც არის მათ რიცხვში, ვინც ამ ბანკის მიმართ ძალიან დიდი ნდობა გამოხატა.

არის გერმანიის განვითარების ფინანსური ინსტიტუტი, რომელსაც გერმანიის მთავრობა ფლობს. ჩვენი ფოკუსია ინვესტიციები კერძო სექტორში განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე.

50 წელზე მეტია, ამ საქმიანობას ვეწევით და მოხარულები ვართ, რომ „საქართველოს ბანკს“ გვერდში დავუდექით კონკრეტულად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება-გაფართოების კუთხით. ჩვენი წვლილი შეგვაქვს საქართველოს ფინანსური სექტორის გაძლიერებაში და ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნასა და შენარჩუნებაში“.

ნინო ლურსმანაშვილი

ექსკლუზიური ინტერვიუ გარდაბნელ აღსაკალებთან

მე-4 გვერდიდან

— **ოჯახის შესაქმნელად ძალადობა და გოგონას მოტაცება აუცილებელია?**

გიას ქაზუმოვი: — ქალის მოტაცებას საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს. ჩვენ წელთაღრიცხვამდეც, სხვადასხვა თემები ერთმანეთს ქალებს პარავდნენ. ქართველებსაც ხომ ასეთი ტრადიცია გაქვთ?

— **საბედნიეროდ, ქართველებმა ამ ტრადიციაზე უარი ვთქვით და დღეს ქალის მოტაცებით ოჯახის შექმნა სირცხვილადაც ითვლება..**

შამისტან ველიევი: — როცა ქალს იტაცებენ, საამისო მიზეზი ყოველთვის არსებობს. მაგალითად, ვიღაცას არ აქვს მატერიალური შესაძლებლობა, ქორწილი გადაიხადოს ან ახალგაზრდებს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ მშობლები მათ არჩევანს არ იწონებენ. ეს ერთგვარი „კანონიერი გაპარვაა“. შესაძლოა, ქალი მაშინ მოიტაცონ, როცა ახლობელია გარდაცვლილი და ქორწილის გადახდა არ შეიძლება. ან როცა ორ ბიჭს ერთი გოგონა მოსწონს... ორი გოგო მყავს და ორივე მომტაცეს, მაგრამ ბედს შევეგუე.

— **თუ მშობლები ქორწინების წინააღმდეგნი არიან, წყვილის „გაპარვის“ შემდეგ, მათთან ურთიერთობას წყვეტენ?**

კალეი ლეზგიევი: — ორ-სამ თვეში შერიგდებიან.

შახლარ ახმედოვი: — შესაძლოა, 6 თვეც არ ნახონ ერთმანეთი, მაგრამ საბოლოოდ, ყველაფერი გვარდება და ურთიერთობაც ნორმალურ ფორმას იღებს.

— **როგორც ვიცი, ხშირად არასრულწლოვანი გოგონები ქმნიან ოჯახს.**

გიას ქაზუმოვი: — დიახ, 14 წლის გოგონაც მოუტაცებიათ. 15-16 წლის ასაკში გოგონები მშობლების თანხმობითაც თხოვდებიან. ჩვენთან ადრეულ ასაკშიც ნიშნავენ გოგონებს.

— **თუ დანიშნული გოგონა მოიტაცეს, რა მოხდება?**

შახლარ ახმედოვი: — დიდი სკანდალი.

შამისტან ველიევი: — შესაძლოა, ყველაფერი მკვლელობით დასრულდეს.

— **რამდენიმე დღის წინ 21 წლის გოგონამ თავი იმის გამო მოიკლა, რომ ნათესავებმა ღალატი დააბრალეს და სახალხოდ სცემეს...**

გიას ქაზუმოვი: — როცა ქალი ქმარს უღალატებს, მისი მოკვლა აუცილებელია. ეს მის ღირსებაზე მოქმედებს. სხვაგვარად გამორიცხულია და არც არავინ დაძრახავს, თუ ამ შემთხვევაში მკვლელობას ჩაიდენს.

შამისტან ველიევი: — ნამდვილმა მამაკაცმა ეს საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს. სხვა ვარიანტი არ არსებობს. ეს საკუთარი ოჯახის ღირსების დაცვას ნიშნავს. ადრეც ყოფილა ასეთი შემთხვევები და მომავალშიც იქნება.

— **ბოლო დროს ქართველებიც დაერივნენ ცოლებს, ასეთი ფაქტები თქვენთანაც ხშირია?**

გიას ქაზუმოვი: — მახსოვს ასეთი შემთხვევებიც: ნაზარლოში ქმარმა ცოლი ხანჯლით მოკლა. ეს დიდი ხნის წინ მოხდა. მაგრამ პრინციპი პრინციპად რჩება, თუმცა ზოგიერთ მამაკაცს ღირსების დასაცავად ძალა არ ჰყოფნის. ამასაც მამაცობა სჭირდება. ასეთ კაცებს ჩვენში კაცებად არ თვლიან და არც პატივს სცემს ვინმე.

— **ასეთი განაჩენი აღსაკალებს გამოგაქვთ?**

— აღსაკალები მაშინ ვერევით, როცა ვიღაც შესარიგებელია — აი, თუნდაც მაშინ, როცა ახალგაზრდა წყვილი მშობლების ნების საწინააღმდეგოდ ოჯახს შექმნის. ჩვენ მათ ერთმანეთთან ვარიგებთ. არავის ვეუბნებით, ეს და ის მოკალიო, ეს კაცის გადასაწყვეტია, რამდენად აფასებს საკუთარ ღირსებას.

— **ადგილობრივების პოლიტიკურ არჩევანშიც ერევით?**

— პოლიტიკაზე ხომ უკვე ვისაუბრეთ? ჩვენი პოზიცია უკვე გითხარით.

— **კარგი, მაშინ კიდევ ერთ ტრადიციაზე გკითხავთ — სისხლით ნათესავები ერთმანეთზე მართლა ქორწინდებიან?**

შამისტან ველიევი: — რა თქმა უნდა. რძლად ჩემი დისშვილი მყავს. ჩემი გოგო კი ჩემს ძმისშვილს გაყვა.

— **ეს რელიგიითაა დაშვებული?**

— დიახ, დაშვებულია. ასე გვასწავლეს და ამ ტრადიციას დღემდე მივყვებით.

გიას ქაზუმოვი: — ამ კითხვას საკმაოდ ღრმა პასუხი სჭირდება, რადგან ამ ტრადიციას დიდი ისტორია აქვს.

— **მიამბეთ... ეს ხომ ინცესტია!**

შამისტან ველიევი: — დიახ... ამის გამო ავადმყოფი ბავშვებიც იბადებიან... ყველაფერი ხდება... ერთადერთი, ნათლიის შვილთან ქორწინებაა აკრძალული. ჩვენ ასეთი ტრადიცია გვაქვს.

გიას ქაზუმოვი: — მუჰამედი თავის ახლობლებზე რამდენჯერმე დაქორწინდა. თავის ქალიშვილებსაც ახლობლებზე ათხოვებდა, ეს ტრადიციაც აქედან მოდის.

— **ოჯახში ქალის ფუნქცია რა არის?**

კალეი ლეზგიევი: — დღეს ოჯახში ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავება არ არის. ორივე შვილებზე თანაბრად ზრუნავს.

— **ქალს განათლების ან მუშაობის უფლება აქვს?**

— რა თქმა უნდა. უამრავ ოჯახში ქალს უმაღლესი განათლება აქვს. სამსახურშიც დადიან, თუმცა მამაკაცი ოჯახის მთავარ ძალად ითვლება.

შამისტან ველიევი: — ლილოს ბაზრობაზე მომუშავე ქალების უმრავლესობა აზერბაიჯანელია, თუმცა ბუნებრივია, ამისთვის ქმრის ნებართვაა საჭირო. ადრე ქალებს განათლების უფლება მართლა არ ჰქონდათ, მაგრამ ცივილიზაციასთან ერთად, გარკვეული ტრადიციები შეიცვალა. ნახეთ, ბაქოში აზერბაიჯანელი ქალები რას აკეთებენ, მალე, ალბათ, კოსმოსშიც გაფრინდებიან. ჩვენი შვილები მე-11 კლასის შემდეგ უნივერსიტეტებში სწავლობენ როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებში.

— **გარდაბანში კაფე-ბარი ან თანამედროვე რესტორანი არ ფუნქციონირებს. ახალგაზრდები როგორ ერთობიან თუ ქალებს ასეთ დაწესებულებებში შესვლის უფლება არ აქვთ?**

— კაფე-ბარი არა, მაგრამ რესტორნები გვაქვს. რა თქმა უნდა, რესტორანში ქალებიც შედიან. ისე ნუ წარმოიდგენთ, რომ განუვითარებელ ადამიანებთან მოხვედით. ჩვენთან ქალები რესტორნებშიც დადიან და ცეკვავენ კიდეც.

— **პოლიტიკას დავუბრუნდეთ — როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ პირადად თქვენთვის?**

— შიში მოიხსნა, თავისუფლებაა მეტი. ახალ ხელისუფლებას დრო სჭირდება ვითარების შესაცვლელად და ჩვენ ეს გვესმის.

— **მეჩეთის ნახვა მინდა და ეზოში შეიძლება შევიდე?**

— რა თქმა უნდა, ოღონდ თავშალი მოიხურე, როგორც ქართულ ეკლესიაში, ისე... ჩვენი წესები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ერთადერთი განსხვავება ნათესავებთან ქორწინებაშია. დანარჩენი ტრადიციები კი ერთნაირია, სუფრაც კი, თამადა ჩვენც გვყავს... თქვენ ჩემს სახლში პური გატეხეთ, ეს კი ნიშნავს, რომ შემდგომში ჩემი სახლის კარი თქვენთვის ღიაა და ნებისმიერ დროს გვეწვიეთ.

ამის შემდეგ მეჩეთის სანახავად წავედი. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ რაც ვნახე, ხელოვნების ნიმუში იყო. ასეთი მეჩეთი საქართველოში იშვიათობაა.

საქართველოში „პრეზერვატივების“ იმპორტი შემცირდა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

Financial-ის ინფორმაციით, 2014 წლის იანვარ-აგვისტოში, საქართველოში 17 800 ტონა ვულკანიზებული რეზინის კონტრაცეპტივის ანუ პრეზერვატივის იმპორტი განხორციელდა, რაც ნიშნავს, რომ წელს, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, „რეზინის“ იმპორტი 9 900 ტონით შემცირდა. ამ ბიზნესში ძირითადი იმპორტიორები გერმანია, რუსეთი და ჩინეთია. რატომ შემცირდა საქართველოში პრეზერვატივის იმპორტი და, საერთოდ, როგორია ოფიციალური სტატისტიკა? ვიდრე სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურ „საქსტატის“ მონაცემებს გავეცნობით, Financial-ის კვლევის შედეგებს გადავხედოთ, რომელიც გამოცემამ საქართველოში ჩაატარა. ვნახოთ, რას ფიქრობს Financial-ის მიერ გამოკითხული 300 ქართველი მამაკაცი და როგორია რელიგიური მოტივებით გაჯერებული პრეზერვატივის გამოყენების რეალური ჯიგრულ-თბილისური სტატისტიკა.

ჩვენებური სექსბიზნესი გაკოტრების ზღვარზეა — რას წერს Financial და რატომ არ უყვართ ქართველ კაცებს სექსი რეზინით

Financial ცნობით, გამოკითხული მამაკაცების უმრავლესობა, არც დაქორწინებულები და არც დასაქორწინებლები, პრეზერვატივს არ იყენებს. გამოკითხულთა 90% აცხადებს, რომ ეკლესია კონტრაცეპტივებს კრძალავს, 30% — იშვიათად იყენებს და მიზეზი აქაც რელიგიური მოტივია. გამოკითხულთა 55% აღიარებს, რომ კონტრაცეპტული საშუალების გამოყენება სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა რისკს ამცირებს.

ცივილიზებულ მსოფლიოში მიღებულია, რომ პარტნიორები ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმირებულები იყვნენ. საქართველოში ჯანმრთელობის ცნობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია საჭირო, თუ წყვილი ქორწინებას სამოქალაქო წესით ანუ ხელის მოწერით გადაწყვეტს (ჯვრისწერის დროს ასეთ ცნობას არავინ ითხოვს), მოკლედ, ცივილიზაციამდე ჯერ კიდევ შორს ვართ. მართალია, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება ევროპასთან გვაახლოებს, მაგრამ ეს დაახლოება მხოლოდ წამლების რეცეპტებით გაცემასა და რთული ევროპული ბიუროკრატიის „კოპიპეისტით“ გადმოტანაში არ უნდა ვლინდებოდეს.

Financial-ის მიერ გამოკითხული ქართველი მამაკაცების 89% აბსურდად მიიჩნევს სამედიცინო ცნობის წარდგენას პარტნიორი მანდილოსნისთვის. გამოცემა არ აკონკრეტებს, მაგრამ ეს აშკარად ის 89%-ია, ვისაც ქალი მხოლოდ „კუხნაში“ წარმოუდგენია. ჯანმრთელობის ცნობა წარუდგინოს კი არა, პარტნიორს, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, სიცოცხლესაც ადვილად მოუსწრაფავს. მართალია, ეს სულ სხვა სტატისტიკაა, მაგრამ ბოლოდროინდელი მოვლენების სამწუხარო რეალობას ასახავს.

ისევ Financial-ის კვლევას დავუბრუნდეთ, რომლის მიხედვითაც, გამოკითხულ მამაკაცთა 50% არა მხოლოდ უარყოფს სამედიცინო ცნობის წარდგენის აუცილებლობას, არამედ, აცხადებს, რომ ეს მისთვის შეურაცხმყოფელია. გამოკითხულთა მხოლოდ 12% მიესალმება ასეთი ცნობის წარდგენას იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პარტნიორი მანდილოსანი მისგან სამედიცინო ცნობას საერთოდ არ ითხოვს.

საქართველოში პრეზერვატივების იმპორტის ოფიციალური მონაცემები „ვერსიამ“ სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურიდან — „საქსტატიდან“ გამოითხოვა. „საქსტატის“ ინფორმაციით, 2014 წლის იანვარ-აგვისტოში, საქართველოში 496 300 აშშ დოლარის ღირებულების, 17 800 ტონა „რეზინის“ იმპორტი განხორციელდა. იმპორტიორ ქვეყნებს შორის, გერმანია, რუსეთი და ჩინეთი ლიდერობენ, გერმანიიდან 7 600 ტონა პრეზერვატივი შემოვიდა, ჩინეთიდან 4 000, რუსეთიდან 2 700, თურქეთიდან 500, უკრაინიდან 800, ერაყიდან 500, ლატვიიდან 700, საფრანგეთიდან — 200, ბელგიიდან — 200, ინდოეთიდან კი — 600 ტონა.

2013 წლის იანვარ-აგვისტოში, საქართველოში 564 400 აშშ დოლარის ღირებულების, 27 700 ტონა „პრეზერვატივის“ იმპორტი განხორციელებულა. იმპორტიორ ქვეყნებს შორის, შარშან გერმანია, მალაიზია, რუსეთი, სომხეთი, თურქეთი და ჩინეთი ლიდერობდნენ. შარშან გერმანიიდან 9 300 ტონა, მალაიზიიდან 9 500, სომხეთიდან 1 000, ჩინეთიდან 3 100, თურქეთიდან 2 000, რუსეთიდან — 1 300, უკრაინიდან — 900, ლატვიიდან — 100, საფრანგეთიდან 300, ჰონგკონგიდან 200 ტონა პრეზერვატივი შემოიტანეს.

„საქსტატის“ მონაცემებით, 2014 წელს, ვულკანიზებული რეზინის კონტრაცეპტივების იმპორტი იმიტომ შემცირდა, რომ იმპორტიორ ქვეყნებს მალაიზია, სომხეთი და ჰონგკონგი გამოაკლდა. არაოფიციალური ინფორმაციით, პრეზერვატივების იმპორტის სიმცირე და ავტომატურად, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების სიმრავლე იმ საკანონმდებლო ინიციატივას უკავშირდება, რომლითაც 2013 წლის 1 იანვრიდან, საქართველოში ბუსუსიანი პრეზერვატივების შემოტანა აიკრძალა.

არაოფიციალური ვერსიით, 2014 წელს, საქართველოში პრეზერვატივების იმპორტი იმიტომ შემცირდა, რომ რეექსპორტი აღარ ხორციელდება. ერთ-ერთი ვერსიით, პრეზერვატივების იმპორტის შემცირება საბაჟოზე კონტროლის გამკაცრებას უკავშირდება, რომლითაც ქვეყნის ტერიტორიაზე, ვადაგასული პროდუქტის შემოტანა იკრძალება. ამ ვერსიას ისიც ამყარებს, რომ წინა წლებში, იმპორტიორებს საქართველოში სხვადასხვა ქვეყნიდან ვადაგასული პრეზერვატივები სარეალიზაციო ფასზე გაცილებით იაფად შემოჰქონდათ. ქვეყნის მასშტაბით კი სხვადასხვა სააფთიაქო ქსელსა თუ სუპერმარკეტებში საკმაოდ ძვირად ასაღებდნენ, მოკლედ, საქართველო ვადაგასული პრეზერვატივების „ნაგავსაყრელი“ იყო. იმ პერიოდში, საბაჟოზე „რეზინის“ ვადას არავინ ამოწმებდა და ბუნებრივია, იმპორტიორები ამით საკმაოდ დიდ ფულსაც შოულობდნენ. ცხადია, მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნების მფარველობის გარეშე, „რეზინს“ კი არა, ნემსსაც ვერავინ შემოიტანდა. საბაჟოზე კონტროლის გამკაცრებასა და ხელისუფლების ცვლილებას, ქვეყანაში პრეზერვატივების იმპორტის შემცირება მოჰყვა. სხვა საკითხია და „ვერსია“ აუცილებლად გაარკვევს, რა ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას ვადაგასული პრეზერვატივის გამოყენება.

პრეზერვატივების იმპორტისა და რეალიზაციის შემცირებას ქართველი სექსოლოგები საქართველოს პატრიარქის ინიციატივას უკავშირებენ, რომლის მიხედვითაც, ყოველი მესამე და შემდეგი ბავშვი მისი ნათლული ხდება. სამედიცინო თვალსაზრისით, დაუცველი სქესობრივი კავშირი სხვადასხვა ინფექციური დაავადების გავრცელებას იწვევს. ბოლო მონაცემებით, საქართველოში შიდსით 4 308 ადამიანია ინფიცირებული, აქედან 40%-ზე მეტი სწორედ დაუცველი სქესობრივი კავშირის გამო დაავადდა.

პრეზერვატივების შეძენა სხვადასხვა სააფთიაქო ქსელსა და სუპერმარკეტებშია შესაძლებელი, ფასი 0.50-დან 8.50 ლარამდე მერყეობს. ხარისხიანი და ევროპული წარმოების „რეზინი“ ძვირია, უხარისხო ანუ ჩინური კი 0.50 ლარი ჯდება. სპეციალისტების განმარტებით, სხვადასხვა კონტრაცეპტულ საშუალებებს შორის, საქართველოში ყველაზე გავრცელებული პრეზერვატივია, მაგრამ სარეალიზაციო ფასი მაინც ძვირია.

პრეზერვატივების იმპორტიორებს შორისაა სადისტრიბუციო კომპანია „გეოლატექსი“ და „ლუქსლაით ჯორჯია“. „გეოლატექსი“ სამედიცინო დანიშნულების საგნების იმპორტიორია, რომელსაც საქართველოს ბაზარზე 12-წლიანი გამოცდილება აქვს. კომპანიას საქართველოში 400 დასახელების პროდუქტი შემოაქვს, მათ შორის პრეზერვატივი, ლეიკოპლასტირი, შპრიცი და კათეტერი, ფეხის მოვლის საშუალებები, ერთჯერადი ტანსაცმელი, სამედიცინო საგნები — ნიღბები და ბახილები, ასევე ბავშვთა კვების პროდუქტი. „გეოლატექსი“ 9 სხვადასხვა ფირმისა და დასახელების „რეზინის“ იმპორტს ახორციელებს და ძირითადად, გერმანიიდან, ინგლისიდან, მალაიზიიდან, ბრიტანეთიდან, რუსეთიდან, ბელგიიდან და ჩინეთიდან შემოაქვს.

რაც შეეხება „ლუქსლაით ჯორჯიას“, ამ კომპანიას კონტრაცეპტული საშუალებები მცირე აფთიაქებსა და მაღაზიებში შეაქვს. კომპანიამ ჩინური წარმოების პრეზერვატივების იმპორტი, ბოლოს, 2013 წლის ზაფხულში განახორციელა.

დავით კირვალიძე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას ქმნის

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ვინ არიან სოფლის მეურნეობის ექსმინისტრის თანამოაზრეები, რას ნიშნავს „ყაზბეგის დეკლარაცია“ და როგორ აპირებს მთის გადარჩენას „კავკასიის ცენტრი“

სოფლის მეურნეობის ექსმინისტრი დავით კირვალიძე, თანამოაზრეებთან ერთად, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნებას აპირებს, რომელსაც „კავკასიის ცენტრი“ ერქმევა და რომელიც რეგიონის მთიანეთის პრობლემების შესწავლასთან ერთად, სამეცნიერო კვლევებსაც ჩაატარებს. მანამდე კი დავით კირვალიძემ თანამოაზრეებთან — გერმანიის, შვეიცარიის, პოლონეთის საელჩოების და აშშ-ს საერთაშორისო დახმარების სააგენტო — USAID-ის, OXFAM-ის, CNFA-ს, RAPDI-ს, Mercy Corps-ის, People in Need-ის, CARE-ისა და WWF-ს წარმომადგენლებთან, ასევე ქართველ მეცნიერებთან, საქართველოს აგრარულ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორებთან ერთად, „მრგვალი მაგიდა“ გამართა და ე.წ. ყაზბეგის დეკლარაცია შეიმუშავა. 1983 წელს, ჰიმალაიში, კატმანდუში, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მთიანეთის ინტეგრირებული განვითარების საერთაშორისო ცენტრი ICIMOD შეიქმნა, რომელიც 8 ქვეყანას აერთიანებს. სამომავლოდ, „კავკასიის ცენტრში“ საქართველოს პარალელურად, შესაძლოა, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და თურქეთი გაერთიანდეს და ცენტრი კატმანდუს მსგავს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციად ჩამოყალიბდეს. ახალი არასამთავრობოს მისიასა და მიზანზე „ვერსიას“ დავით კირვალიძე ესაუბრება.

— ბატონო დათო, „ყაზბეგის დეკლარაცია“ იმიტომ შეიმუშავეთ, რომ ეს მაღალმთიანი მხარე საზღვრისპირა რეგიონია?

— ამ ცენტრის შექმნის იდეა ყაზბეგში გაჩნდა... ამ კუთხეს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და, ჩემი აზრით, ურიგო არ იქნება, თუკი კავკასიის ცენტრის ოფისი, სწორედ საქართველოში, უფრო კონკრეტულად კი ყაზბეგში განთავსდება.

— აქცენტს მხოლოდ მთის პრობლემებზე რატომ აკეთებთ?

— იმიტომ, რომ მთას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. მხოლოდ იმის ხსენებაც საკმარისია, რომ დედამიწაზე სასმელი წყლის რესურსების 60%-ზე მეტს მთებიდან ვიღებთ, მთიანეთის ტყეები კი დედამიწის მთლიანი ტყის საფარის 23%-ს შეადგენს. მთიანეთის წიაღში მრავალი ბუნებრივი, ბიოლოგიური და მინერალური რესურსია, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი საარსებო წყაროა. აქედან გამომდინარე, მთის მეცნიერულ დონეზე შესწავლა, ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება აუცილებელია. კავკასიის მთიანეთი მრავალი სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას, მათ შორისაა ჩაკეტილი საზღვრების, მყინვარების დნობისა და მეწყრული ზონების პრობლემები, რომელთა გათვალისწინებითაც, აუცილებელია, კავკასიის რეგიონში მთიანეთის კვლევისა და განვითარების ცენტრი დაფუძნდეს.

— ცენტრი რა ტიპის იქნება და რამდენ ქვეყანას გააერთიანებს?

— ეს საერთაშორისო არასამთავრობო ცენტრი კავკასიის რეგიონს მოემსახურება. „ალპური კონვენცია“ უკვე არსებობს და უპრიანი იქნება, თუკი ყველა ის ქვეყანა, რომელიც გეოგრაფიულად კავკასიის რეგიონს უკავშირდება, „კავკასიის კონვენციას“ შეიმუშავებს.

დასასრული მე-8 გვერდზე

მწნილისა და მურაბის ფესტივალი „თბილისობაზე“ დაიხურა

25-26 ოქტომბერს, „თბილისობის“ ფარგლებში, რიყეზე, მარნეულის სასურსათო ქარხნის უკვე ტრადიციული „მწნილისა და მურაბის ფესტივალი“ გაიმართა. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ფესტივალს დედაქალაქის სტუმრები, ხელისუფლებისა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

მარნეულის სასურსათო ქარხნის ფესტივალი წელს საქართველოს 12 დიდ ქალაქში გაიმართა

მწნილისა და მურაბის ფესტივალის ფარგლებში, რიყეზე, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, მწნილისა და მურაბის კუთხეები მოაწყვეს. სტუმრებმა მარნეულის სასურსათო ქარხნის უგემრიელესი და ქართულ ნედლეულზე დამზადებული პროდუქცია დააგემოვნეს. მწნილისა და მურაბის ფესტივალის ფარგლებში, პროდუქცია სპეციალურ ფასად გაიყიდა, რაც სარეალიზაციო ფასზე, დაახლოებით, 0.50-2.00 ლარით ნაკლები იყო.

ფესტივალი გახსნა და მუსიკალურად გააფორმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მოძახილი“. ბავშვებმა ტკბილ და ზღაპრულ სამყაროში გადაინაცვლეს, სადაც მათი საყვარელი ზღაპრის გმირები ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ. ფესტივალის სტუმრები ოჩოფეხებიანმა ანიმატორებმა და „ქუჩის თეატრის“ მსახიობებმაც გაართეს.

მწნილისა და მურაბის ფესტივალი პირველად 2013 წელს, დედაქალაქში, „თბილისობის“ სახალხო დღესასწაულის ფარგლებში გაიმართა. მარნეულის სასურსათო ქარხნის წარმომადგენლის, თინათინ სამყურაშვილის განმარტებით, წელს, ამ ფესტივალმა სტარტი ორი თვის წინ, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბახმაროში, დოღის პარალელურად, აიღო. ყოველწლიურად, ბახმაროში დოღი ფერისცვალებას ემთხვევა, წელს კი დოღთან ერთად, მწნილისა და მურაბის ფესტივალიც ჩატარდა. თინათინ სამყურაშვილის განცხადებით, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ფესტივალზე, ცხენოსნობის მოყვარულები, ბახმაროს სტუმრები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სპორტული საზოგადოების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

როგორც თინათინ სამყურაშვილმა აღნიშნა, 2014 წელს, მწნილისა და მურაბის ფესტივალი საქართველოს 12 დიდ ქალაქში გაიმართა. 1-2 სექტემბერს, ფესტივალს ბათუმმა, 6 სექტემბერს — ახალციხემ, 7 სექტემბერს — გორმა, 13 სექტემბერს — ოზურგეთმა, 14 სექტემბერს — ზუგდიდმა, 20 სექტემბერს — ქუთაისმა, 21 სექტემბერს — სამტრედიამ, 27 სექტემბერს — გურჯაანმა, 4 ოქტომბერს — მარნეულმა, 18 ოქტომბერს — რუსთავმა უმასპინძლა. მწნილისა და მურაბის ფესტივალი რუსთავში, „რუსთავობის“ დღესასწაულის ფარგლებში ჩატარდა, ხოლო 25-26 ოქტომბერს, „თბილისობაზე“ დაიხურა. „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ ფესტივალი საქართველოს რეგიონებში, „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის“ მხარდაჭერით ტარდება.

თინათინ სამყურაშვილის თქმით, მწნილისა და მურაბის ფესტივალი ტრადიციულად, ყოველ წელს გაიმართება და სრულიად საქართველოს მოიცავს. მართალია, 2014 წელს მარნეულის სასურსათო ქარხნის ფესტივალმა საქართველოს 12 დიდი ქალაქი მოიცვა, მაგრამ მომავალი წლიდან, ქვეყნის სხვა ქალაქებიც დაემატება:

„ჩვენი მიზანია, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას ხელი შევუწყოთ. გვინდა, ყველამ გაიცნოს „მარნეულის სასურსათო ქარხანა“, რომელიც ქართულ ნედლეულზე დამზადებულ, 50-ზე მეტი სახეობის პროდუქციას აწარმოებს. ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობაა, ვიზრუნოთ მომხმარებლებზე და ასეთი, დაუვიწყარი დღესასწაულებით თავი დავამახსოვროთ“, — განუცხადა „ვერსიას“ თინათინ სამყურაშვილმა.

მაია მიშელაძე

დავით კირვალიძე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას ქმნის

მე-5 გვერდიდან

რაც შეეხება ქვეყნებს, „კავკასიის ცენტრში“, საქართველოსთან ერთად, სასურველია, ყველა ის ქვეყანა იყოს, რომელიც გეოგრაფიულად კავკასიონის მთიან მასივთანაა დაკავშირებული. „მრგვალი მაგიდის“ ფორმატში, სამუშაო ჯგუფი უკვე შეიქმნა, რომელმაც ცენტრის სტრუქტურა უნდა შეიმუშაოს, მომდევნო ეტაპზე კი, კავკასიის რეგიონის ქვეყნებთან მოლაპარაკებებს გავმართავთ, ამ იდეას გავაცნობთ და რეგიონალურ კონფერენციაზე დავპატიჟებთ.

— კატმანდუს ცენტრი 8 ქვეყანას, მათ შორის, ინდოეთს, ავღანეთს, პაკისტანსა და ნეპალს აერთიანებს. ამ ქვეყნებს პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა არ აქვთ, მაგრამ მთის პრობლემებზე თანამშრომლობენ. საქართველო-რუსეთისა და სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების გათვალისწინებით, „კავკასიის ცენტრიც“ ამ პრინციპით იმუშავებს?

— დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა საქმეს ართულებს, მაგრამ სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტების დონეზე, ამ ქვეყნების ურთიერთობა შესაძლებელია. ეს ცენტრი, გარკვეულწილად, სახალხო დიპლომატიის ნაწილიც იქნება და შესაძლოა, არაპირდაპირი პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ცენტრი ის ერთ-ერთი ადგილი იქნება, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებსაც ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ აქვთ, შეხვდებიან და მთის პრობლემებზე იმსჯელებენ.

— სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სწორედ მთიანი ყარაბაღის პრობლემაა გადაუჭრელი. ბატონო დათო, ესე იგი, იმედოვნებთ, რომ „კავკასიის ცენტრში“ სომხები და აზერბაიჯანელები, ან ქართველები და რუსები გვერდი-გვერდ დასხდებიან და მთის პრობლემებზე იმსჯელებენ?

— დიახ, ამის იმედი მაქვს.

— „ყაზბეგის დეკლარაციაში“ ერთი დეტალი მენიშნა — პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებს შორის, ხაზს მთაში დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პრობლემასაც უსვამთ. ამ საკითხსაც შეისწავლით?

— ჩვენი ცენტრის მკვლევარებსა და მეცნიერებს კვლევებისას წინასწარ განსაზღვრული დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეთ. სწორედ ესაა ცენტრის მომხიბვლელობა. კვლევებს ის მეცნიერები ჩაატარებენ, რომლებიც კონკურსით, ზუსტად ისე შეირჩევიან, როგორც ეს საერთაშორისო ორგანიზაციებშია მიღებული. „კავკასიის ცენტრი“ გადაწყვეტილებას კი არ მიიღებს, რეკომენდაციებს შეიმუშავებს და საკუთარ მოსაზრებას ჩამოაყალიბებს. საერთოდ, ბუნებაში ადამიანის ჩარევის თემას ვერ ავცდებით, რადგან სხვაგვარად, პროგრესი წარმოუდგენელია, თუმცა ჩარევასაც თავის ლიმიტი აქვს. გარკვეულ ჩარჩოებში მოქცეული ჩარევა გარემოში შეუქცევად ცვლილებებს არ იწვევს. ეკოლოგიის, როგორც მეცნიერების არსია, დაადგინოს, ბუნებაში ადამიანის ჩარევა რა მასშტაბით შეიძლება. ამ შემთხვევაში, მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურებს კი არა, სხვა მრავალ საკითხსაც ვგულისხმობ, მაგალითად, მთიანეთში საძოვრების პრობლემას — რამდენმა ცხვარმა შეიძლება იბალახოს 1 ჰექტარზე და რამდენი დღის განმავლობაში? თუ დადგენილი ზღვარი დაირღვევა, ამას ფერდობების გადაძოვება მოჰყვება, გადაძოვება კი ეროზიას იწვევს, რაც ნიადაგს გადარეცხავს. შესაბამისად, საძოვარს დიდი ხნით დავკარგავთ, რადგან ნიადაგის წარმოქმნას ასეულობით წელი სჭირდება. ეს ისეთი ბუნებრივი რესურსია, რომელსაც ცოდნა, მოვლა და მოფრთხილება სჭირდება და „კავკასიის ცენტრმა“ სწორედ ამ თემებზე უნდა იმუშაოს, რადგან მთაში ეს პრობლემა განსაკუთრებით სენსიტიურია! ცენტრი მთიან რეგიონებში მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური თუ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ პროექტებსაც შეიმუშავებს და განახორციელებს.

პოლიციამ კრიმინალური ავტორიტეტი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად კრიმინალური ავტორიტეტი – 1973 წელს დაბადებული შალვა გ. თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ შალვა გ-მ 16 ოქტომბერს საქართველოს საზღვარი რუსეთის ფედერაციიდან სხვა სახელითა და გვარით გადმოკვეთა.

სამართალდამცველებმა შალვა გ-ს პირადი ჩხრეკისას მარიხუანა ამოიღეს.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით). გამოძიებას ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

შსს-ში დონორთა ყოველწლიური შეხვედრა გაიმართა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ორგანიზებით, დონორთა ყოველწლიური საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა, რომელზეც წარდგენილი იყო შსს-ს ყველა შესაბამის მიმართულებაში ჩატარებული საჭიროებების ანალიზი. პრეზენტაცია მოიცავდა ინფორმაციას ყველა იმ საჭიროების შესახებ, რაც უწყების სხვადასხვა ქვედანაყოფს ტრენინგებისა თუ შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით გააჩნია.

შეხვედრას ესწრებოდნენ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ევროკავშირის წევრი ქვეყნების, დიპლომატიური მისიებისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები. შეხვედრის დასასრულს მხარეებმა ერთობლივი პროექტების განხორციელების სამომავლო გეგმები განიხილეს.

„ვერსიანიუსი“

გიორგი არველაძე იულია ტიმოშენკოს პარტიის სახე გახდა

უკრაინის პარტია „ბატკივშჩინას“ ლიდერმა იულია ტიმოშენკომ გადაცემა „შუსტერ ლაივის“ ეთერში საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი გიორგი არველაძე საკუთარი გუნდის წევრად წარადგინა.

უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის განცხადებით, გიორგი არველაძე იმ გუნდის წევრია, რომელმაც საქართველოში რეფორმები გაატარა.

„გიორგი არველაძის უკან კიდევ ათობით ინტელექტუალი ქართველი დგას, რომლებმაც უკრაინაში ძლიერი რეფორმების პროგრამა შეიმუშავეს“, — განაცხადა იულია ტიმოშენკომ.

„ინტერპრესნიუსი“

ცრუ ტარიელ ონიანის რუსული თაღლითობა

პატიმარი №0578

თავისი პროფესორები და აკადემიკოსები კრიმინალურ სამყაროსაც ჰყავს. ამ „ტიტულით“ ისინი ჯილდოვდებიან, ვინც საკუთარ საქმეს ზედმიწევნით მაღალ დონეზე ასრულებს და სამართალდამცავების ხელში არ ვარდება. მართალია, უმრავლესობის ბოლო მაინც ციხეა, მაგრამ იქ მოწიწებით ეპყრობიან და მათ „საგმირო საქმეებს“ ლეგენდებად ჰყვებიან...

რუსთავის №16 დაწესებულებაში ჯეირან შ. რომ მოიყვანეს, შეიძლება ითქვას, პატიმრებმა დიდების კორიდორი მოუწყვეს და ტაშით შეხვდნენ. 65 წელს გადაცილებული ჯეკო ღიმილით მიესალმა ახალგაზრდებს, მერე კი ისე ცხოვრობდა, როგორც ჩვეულებრივი პატიმარი. ერთი ეგ იყო, მის სიტყვას მაყურებლებიც გულისყურით ისმენდნენ და რაც მთავარია, ითვალისწინებდნენ კიდეც. როგორც მოსალოდნელი იყო, ერთ დღეს ჯეკოს პატიმარი №0578 ეახლა.

„სალამი, ჯეკო. შენზე ლეგენდებს ჰყვებიან, ისაო, ესაო... რუსეთში 30 წელი ცხოვრობდაო და ეს უსაშველო მეგრული აქცენტი ხელს არ გიშლიდა?!“ — პირდაპირ იერიშზე გადავიდა №0578.

„ჯერ ერთი, რუსულად უაქცენტოდ ვლაპარაკობ, მეორეც, არავის საქმე არ არის, სად ვცხოვრობდი და მესამეც, შენ ვინ ხარ და რა გინდა?!“ — მშვიდად ჰკითხა ჯეკომ.

„მე პატიმარი №0578 ვარ, ჩემზე უკეთ იცი, ვინ ვარ და ისიც იცი, რომ შენი ისტორიები მაინტერესებს. ამბობენ, თავის საქმის აკადემიკოსიაო. არადა, წამალზე დაგიჭირეს და ახლა არ მითხრა, წამლის კეთებას აკადემიკოსობა უნდა“, — გაუღიმა პატიმარმა.

„წამალი ცხოვრებაში არ გამიკეთებია. აქ გასვენებაში ჩამოვედი, დედა დამეღუპა. აქაურმა პოლიციამ იცოდა, წმინდანი რომ არ ვიყავი, მაგრამ დანაშაული არ მქონდა ჩადენილი საქართველოში და რამე მიზეზით ხომ უნდა დავეჭირე? ჰოდა, წამალი ჩამიდეს და მართალია, 3 წელი მომცეს, ჩემთვის ესეც სროკია. 65-ს გადავაბიჯე და მიჭირს. რომ მცოდნოდა, ტყუილად დამიჭერდნენ, არ ჩამოვიდოდი“, — ჩუმად თქვა ჯეკომ.

„და რუსეთში?! მომიყევი რა, გთხოვ. ყველა ისტორიას არ გთხოვ, არც გემახსოვრება, ალბათ, ისეთი მომიყევი, შენც რომ ამაყობ და ღიმილით იხსენებ“, — სთხოვა №0578-მა.

„ჯერ ერთი, აბსოლუტურად ყველა საქმე მახსოვს და მეორეც, ვისაც ჰგონია, რომ თაღლითობა მარტივია, იდიოტია, დამიჯერე. ამას ბევრი ფიქრი, ყველა დეტალის დაგეგმვა და შემდეგ უკვე შესრულება უნდა. „ბოთლების საქმეს“ მოგიყვები, მიუხედავად იმისა, რომ თემა ცარიელი ბოთლები იყო, ყველაზე მეტად ამ საქმით ვამაყობ. მოსკოვის გარეუბანში, სადღაც საღორეში ვცხოვრობდი და პურის ფული მიჭირდა. ერთ დღეს ვიღაც თეთრხალათიანები მოვიდნენ, წყლის ანალიზი გვინდა და ბოთლით წყალი გამოგვიტანეო. გავუტანე და წავიდნენ. იმავე საღამოს მივხვდი, ფული როგორ მეშოვნა. საქართველოდან ჩემებს 500 დოლარი გამოვაგზავნინე, უკან მოვიდივარ და ფული არ მაქვს-თქო. არადა, იმ 500 დოლარით თეთრი ხალათი ვიყიდე, სატვირთო მანქანა ვიქირავე და მოსკოვის ცენტრში ერთ-ერთ კორპუსს მივადექი. იქ გამოვაცხადე — ექსპერტიზის ბიუროდან ვარ და ეჭვი გვაქვს, ჩეჩნებმა წყალი უნდა მოწამლონ-თქო. ამიტომ, მეორე დღეს ყველა მოსახლეს თითო ბოთლი წყალი უნდა ჩამოეტანა და ჩაებარებინა, ანალიზი რომ გაგვეკეთებინა. ასე რამდენიმე კორპუსთან დავაანონსე და ის ღამე თეთრად გავათენე, არ ვიცოდი, რა იქნებოდა. დილით დავიარე და სატვირთო ერთ საათში წყლით სავსე ბოთლებით გავავსე. მივადექი ბოთლების ჩაბარების ცენტრს და ჯერ ერთი რეისი დავცალე, მერე მეორე, მესამე და ორ თვეში მოსკოვში ოროთახიანი ბინა ვიყიდე. მოსახლეობას ვუბარებდი, თუ აღარ მოვალ, ე.ი. წყალი კარგია-თქო და ხალხიც ბედნიერი იყო. ორი წელი სხვა არაფერი მიკეთებია, მთელ მოსკოვს შემოვუარე, ცოლ-შვილი წავიყვანე აქედან, დავიქირავე კაცი, რომელიც აღრიცხვას აკეთებდა, რომ ერთსა და იმავე კორპუსს არ მივდგომოდი. შემეძლო, მეორე წრეზეც წავსულიყავი, მაგრამ მომწყინდა, ძალიან მომწყინდა, ყოველდღე სატვირთოთი ბოდიალი...“

„და რა ქენი?“

„არაფერი განსაკუთრებული — ერთხელ, ბაზარზე შევედი და დავინახე, რომ შესასვლელში ვიღაცები სულგუნს ყიდდნენ. ჩემი ცოლი საოცარ სულგუნს აკეთებს, ვიფიქრე, ოფიციალურ ბიზნესს დავიწყებ-თქო და სულგუნი გავაკეთებინე მეგრელ ქალებს, დავაყენე კაცი და ერთ საათში ის კაცი კარგად ნაცემი მომივიდა. რა მოხდა-მეთქი და, თურმე, ვინც სულგუნს ყიდდა, ადგილობრივ რეკეტს თვეში ათი ათას დოლარს უხდიდა. ხომ ხვდები, რა ფულზეა საუბარი ანუ იმას რამდენი რჩებოდა?! მეორე დღეს ვიქირავე ბრონირებული ჯიპი, დაცვა და მივადექი ბაზარს, დავაყენე ეს ჩემი სულგუნის გამყიდველი შესასვლელთან და ათ წუთში თავმოხოტრილი ბიჭებიც გამოჩნდნენ. დაცვამ ჩემს მანქანასთან მოუხმო. ფანჯარა ჩავწიე და ვუთხარი, რომ ტარიელ ონიანი ვარ და ეს კაცი აქ სულგუნს გაყიდის ექვსი თვე-მეთქი. ხმა არ ამოუღიათ, თავდაღუნულები გატრიალდნენ. ვერ გეტყვი, რატომ ვთქვი მაინცდამაინც ტარიელის სახელი, მაგრამ ეგ მომადგა ენაზე. ორი თვის შემდეგ შინ ვიღაცები დამადგნენ და ტარიელი გიბარებსო. წავედი, მიმიყვანეს ონიანთან. ეს ჩემი რეკეტიორებიც იქ არიან, თურმე, დაუბარებია ტარიელს რაღაცისთვის და იმათ კიდევ უთქვამთ, არ ხარ შენ ტარიელიო. მომაყოლა ყველაფერი იმან და როცა ბოლომდე მომისმინა, სიცილი დაიწყო. მერე მითხრა, გეყოფა ახლა ტარიელობა, შენი სულგუნით დაიკარგე იქიდან და მეორედ თუ გადაწყვეტ ჩემი სახელის გამოყენებას, მითხარი მაინც, თორემ გაბრაზებაც ვიციო. იმ ორ თვეში 50 ათას დოლარზე მეტი ვიშოვე სულგუნით და ტარიელის სახელით“...

„შენზე თქვეს, ავტობაზრობის დირექტორს ქეშად მილიონი გამოართვაო და რა უთხარი ასეთი?!“

„ჰო, მოსკოვში იყო ეგეც. ავტობაზრობის დირექტორს დავადექი გამოწყობილი, თავი ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორად წარვუდგინე და კომუნისტების დროიდან შემორჩენილი ავტონაწილების ჩატანას დავპირდი. სია რომ ვანახე, რა ნაწილები მქონდა, თვალები შუბლზე აუვიდა და როცა ვუთხარი, მილიონი მინდა-მეთქი, იმაზე უფრო გაოცდა. მინიმუმ ორი მილიონის ნაწილები იყო ჩამონათვალში. ფული ქეშად მოვთხოვე, საქართველოში რომ წავალ, იქიდან წამოსვლას აღარ ვაპირებ-მეთქი და მერე სად გეძებო-თქო?! სახლსაც ვყიდი სამ მილიონად და მივდივარ რუსეთიდან-მეთქი. სახლი მანახეო და მოსკოვის გარეუბანში ნაქირავები სასახლე ვანახე, დღეში შვიდი ათას დოლარს ვიხდიდი იმ სახლში და მესამე დღე იყო, დაქირავებული მქონდა. მოვიდნენ, მე და ჩემს ცოლ-შვილს სურათები გადაგვიღეს და მეორე დღეს იმავე სახლში მილიონი მოგვიტანეს ქეშად. იმავე დღეს ტოლიატიში გავფრინდი და ორი წელი იქ ვცხოვრობდი. ამ ორი წლის განმავლობაში არაფერი გამიკეთებია, იმ მილიონს ვჭამდი და თან ჩემს თავს ვეჩხუბებოდი, ცოლ-შვილი რატომ გავრიე ამ საქმეში-თქო. არც მერე დავბრუნდებოდი მოსკოვში, მაგრამ ჩაცხრილეს ის კაცი და დავბრუნდი.“

„ახლა რას აპირებ?!“

„აქედან რომ გავალ, ისრაელში უნდა წავიდე, ცოლს სიმსივნე აქვს და უნდა ვუმკურნალო. იმედი მაქვს, მალე გამიშვებენ, არაფრის გამო სამი წელი ბევრია“, — თქვა ჯეკომ.

ჯეირან შ-ს ამნისტიამ მოუსწრო და 2013 წელს გათავისუფლდა. აეროპორტში ისევ დააკავეს და დღემდე ციხეში ზის. როგორც ამბობენ, დაპატიმრების მიზეზი ჯიბგირობა გახდა. ვერ გეტყვით, მართლა იჯიბგირა თუ არა, მაგრამ თავად ამბობდა, თაღლითობის მეტი არაფერი ვიციო.

ვამოცმაურება

ნინო კომახიძე
599-95-33-16

პატიმარი, რომელმაც თვითმკვლელობა 22-ჯერ სცადა, „ვერსიას“ ხონის დაწესებულებიდან, სადაც 6-თვიან იძულებით მკურნალობას გადის, კიდევ ერთ წერილს უგზავნის. რევაზ შაინიძისგან პირველი წერილი 2014 წლის ივნისში მივიღეთ, სადაც დეტალურად იყო მოთხრობილი, როგორ ექცეოდნენ ეტაპირებულ პატიმრებს რუსთავისა და ქსნის კოლონიებში და რა მეთოდებით ცდილობდნენ თვითმკვლელობას დამცირებული პატიმრები. თვითმკვლელობის 22-ე მცდელობის შემდეგ, შაინიძეს სამხარაულის სახელობის ბიუროს ექსპერტმა გამოკვლევა ჩაუტარდა, თუმცა შედეგების გასაჯაროების უფლება არ მოგვცეს. მეორე წერილში, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ, შაინიძე ამ დასკვნასა და ხონის საავადმყოფოს პირობებზე გვიამბობს. აქვე აღვნიშნავთ, რომ სასჯელაღსრულებისა და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა პატიმრის წერილზე კომენტარი არ გააკეთეს:

სკანდალური სიმართლე ხონის ფსიქიატრიულზე

„ვერსიაში“ გამოქვეყნებულმა წერილმა პატიმარი სიკვდილს გადაარჩინა

„თქვენი თანადგომა რომ არა, ახლა ნამდვილად „გამოთავყანებული“ ვიქნებოდი. 2 ივნისს ჩემი წერილი რომ არ გამოგექვეყნებინათ, შესაძლოა, მკვდარიც ვყოფილიყავი, რადგან ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაკვეთით გადამიყვანეს. თქვენი წერილის გამოქვეყნების შემდეგ კი, იქაური ექთნებისა და დაცვის ბიჭების მხრიდან დიდი თანადგომა ვიგრძენი. ჩემი ამბავი ყველამ გაიგო. დასკვნის თაობაზე, რომლის საფუძველზეც ფსიქიატრიულში იძულებით სამკურნალოდ გამამწესეს, აქამდე არაფერი ვიცოდი... დასკვნაც დაკვეთით დადო სამხარაულის ექსპერტმა, მას ეს სასჯელაღსრულების სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, დიმიტრი დარბაისელმა და ექსმინისტრმა სოზარ სუბარმა აიძულეს. დასკვნაში წერია, რომ რევაზ შაინიძე ბოდვითი აშლილობითაა დაავადებული. დასკვნის მიხედვით თურმე არც საკუთარი თავის კონტროლი, ჩვენების მიცემა და სასამართლო პროცესებში მონაწილეობა შეიძლია...

შევეცდები, მოკლედ გიამბოთ, როგორ განვითარდა მოვლენები და რა ფაქტებს შევესწარი სამთვენახევრის განმავლობაში, როცა იქ ვიმყოფებოდი: ჯერ ერთი, ერთი თვის განმავლობაში კორიდორში ვიწექი და თავი კურსკის რკინიგზის ვაგზალზე მეგონა. ამ ერთი თვიდან ბოლო 10 დღე, მე-11 კორპუსში გადმომიყვანეს. იქ ყველანაირი მედიკამენტების მიღებასა და ნემსების გაკეთებაზე უარს ვაცხადებდი. ამ კორპუსში ერთი ექიმი იყო, ლალი, რომელსაც ვეკითხებოდი, რა მეტყობა, რომ ფსიქიკურად არაჯანსაღი ვარ-მეთქი და პირდაპირ მიპასუხა, მერე რა მოხდა, ისეც ხდება, რომ აქ ხალხს არასწორი დიაგნოზით გზავნიან, მაგრამ არა უშავს, 6 თვეს არ გაგაჩერებთ, უფრო მალე გაგიშვებთო.

... ვამბობდი, ჩემი გარდაცვალების შემთხვევაში პასუხს თქვენ აგებთ-მეთქი და ვემუქრებოდი, რომ ერთ წერილს ჩემს დას გადავცემდი, მეორეს კი გაზეთ „ვერსიის“ რედაქციაში გადავგზავნიდი. მითხრეს, არა, კაცო, ორი თავი კი არ გვაქვსო, დაფაცურდნენ და მე-11 კორპუსში ერთსაწოლიან ოთახში გადამიყვანეს. წერილი მაინც გამოვგზავნე „ვერსიის“, პრეზიდენტისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სახელზე. ისიც უნდა გითხრათ, რომ ყოველდღიურად 6 აბი ძლიერი საძილე საშუალება „ზოპინი“ დამინიშნეს. 48 საათის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, ერთი აბი დავლიე და ორჯერ ძლივძლივობით წამოვდექი, საპირფარეშოში გასასვლელად“.

„ვერსიისთვის“ გამოგზავნილ წერილში, პატიმარი ვინმე თენგო ექიმსაც ახსენებს, რომელიც დაპირდა, რომ ერთ თვეში ციხეში დააბრუნებდა. შაინიძეს, როგორც ამბობს, პირობა დაადებინეს, რომ პრესას აღარ მიმართავდა: „გაზეთი მთელი ფსიქიატრიულის ექთნებს, ექიმებს, დაცვის ბიჭებსა და დამლაგებლებს ვაჩვენე და ერთი ამბავი ამიტეხეს, ეს გაზეთი შენს ხელში როგორ მოხვდაო. „ვერსია“ ერთ-ერთ ექთანს ჩუმად შემოვატანინე, მაგრამ ამას ხომ არ ვიტყოდი. არავის აწყობდა, პრესისთვის იქაური ამბები მომეყოლა, ამიტომ ექიმები დაცვის ბიჭებს მკაცრად აფრთხილებდნენ, კარგად გააკონტროლეთ, წამლები ნამდვილად დალიოსო. ამ წამლებს არ ვიღებდი, ენის ქვეშ ვმალავდი და საპირფარეშოში ვყრიდი. ამასაც რომ მიმიხვდნენ, მერე აბები დამიფშვნეს და ისე მაძლევდნენ. თურმე, 4 აბს ვღებულობდი და ერთ-ერთმა ექთანმა მითხრა, ეს წამალი ყოველდღე 6-6 აბი რომ დაგელია, როგორც დაგინიშნეს, ორი თვის განმავლობაში, მერე მთელი შენი ცხოვრება ჭკუაზე ვეღარასოდეს მოხვიდოდიო. არც იმას მალავდნენ, ჯერ არ გვინახავს, ამ დაწესებულებიდან ვინმე განკურნებული წასულიყოო.

...პაციენტებს, უმეტესწილად, გაფუჭებულ სოსისსა და ხორცს აჭმევდნენ. ოთახები საშინლად მოსაწესრიგებელი იყო. იმ ერთკაციან პალატაში, სადაც შემიყვანეს, ხის იატაკზე ზემოდან ლინოლიუმი იყო გადაკრული და ჭუჭყით გაჟღენთილი, გაშავებული იყო. ყოველ 20 სანტიმეტრში იატაკი იყო ჩატეხილი და წყალი იდგა. ერთი ღამე რაღაცნაირად გადავაგორე და მეორე დილიდან ისევ კორიდორში დავწექი, პროტესტის ნიშნად. ამის მერე მშრალი შიმშილობა გამოვაცხადე და ნორმალურ ოთახში გადაყვანას ვითხოვდი. ადმინისტრაციას ისევ დავემუქრე, როგორც კი ტელეფონი ჩაირთვება, მაშინვე პრესასთან დავრეკავ-მეთქი. მაშინვე მითხრეს, ოღონდ შენ დაწყნარდი და ორ-სამ დღეში ოთახს გაგირემონტებთ და ისე შეგიშვებთო. ანალოგიურ მდგომარეობაში იყო დამლაგებელი ქალების ოთახიც. ძალიან შევწუხდი, ქალებს 120 ლარის გამო, ასეთ პირობებში რომ ამყოფებდნენ და იმდენი ვქენი, რამდენიმე დღეში ორივე ოთახი გავარემონტებინე. მთელი ამ ხნის განმავლობაში ისეთ ნემსებს მიკეთებდნენ, მეტყველების უნარი მეკარგებოდა. ამ ამბავს ჩემი და და დისშვილიც შეესწრნენ და ნახეს, რა მდგომარეობაში ვიყავი“.

როგორც შაინიძე ამბობს, ორჯერ მისწერა წერილი მთავარი პროკურატურის გენინსპექციას. უნდობლობას უცხადებდა ციხეების ექსმინისტრ სოზარ სუბარს და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას აპირებდა. ამავე განცხადებაში ირწმუნებოდა, რომ მისი ლიკვიდაცია დიმიტრი დარბაისელმა და სხვა პირებმა დაუკვეთეს. განცხადებაზე პასუხს კი შაინიძე 25 ოქტომბრამდე ელოდა. პაციენტი იმასაც გვწერს, რომ პრეზიდენტისა და პრემიერისგან საპასუხო წერილები მიიღო, თქვენი განცხადებები, შესაბამისი რეაგირებისთვის სასჯელაღსრულების სამინისტროს გადავუგზავნეთო. უკმაყოფილო პაციენტი გვარ-სახელის შეცვლასაც კი აპირებს ციხისა და საავადმყოფოს პირობების გამო და საქართველოს მთავრობას მიმართავს: „ამ მივიღე-გადავგზავნეთი რომ მკვებავთ და არანაირი რეაგირება არ არის, ერთს გეტყვით: თუ აქედან ცოცხალი გამოვედი, საქართველოს მოქალაქეობაზე კი არა, ქართულ გვარ-სახელზეც უარს ვიტყვი და ნათესავებს ანდერძად დავუტოვებ, საფლავის ქვაზე წააწერონ, „ქართული ოცნების“ მთავრობისგან მიყენებულმა უმძიმესმა ტკივილმა, ქართველი კაცი, რევაზ შაინიძე აიძულა, იგორ პოპოვი გამხდარიყო-მეთქი. აქ მძიმე ფსიქოლოგიური და მორალური ნამების მსხვერპლი ვარ. უსამართლობამ და ბოროტებამ იქამდე მიმიყვანა, ცოტა ხნის წინ ჩემი ქალიშვილის მამობაზეც უარი განვაცხადე“. **რევაზ შაინიძე იმასაც გვწერს, რომ მისი ნამუშევრები ხონის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის სახელით, სოციალურ ქსელშიცაა გამოფენილი, მის ხატებს კი ასეთი მინაწერი აქვს: ხელოვანი რევაზ შაინიძე. მისი ნამუშევრები სვეტიცხოვლობას გამოფენაზე თბილისშიც ჩამოუტანიათ.**

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

							1	9
	2		9	8				
6				1		3	8	
	3					9	6	5
			8	7	9			
4	1	9					7	
	5	7		3				6
				5	4		3	
1	4							

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

					2	7		
9		4	1	6				5
								1
	7		2		5	9	8	
	1			9			7	
	5	9	3		4		1	
5								
3				2	8	6		9
		8	6					

ᲠᲗᲣᲚᲘ

	9	2	8			5		
5					1			6
7		3						
	1	5						
		8		3		2		
						8	3	
						6		1
9			5					7
		1			9	3	5	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

		2		1			6	
					3			9
6		1			5	3		4
	2		1					8
		8		4		5		
1					6		3	
8		3	6			9		1
2			7					
	1			9		2		

ახალ ამბებს ბოთლზე კითხულობენ

ამომავალი მზის ქვეყანაში ახალი ამბებს მინერალური წყლის ბოთლებზე ბეჭდავენ — Mainichi-ში გააერთიანეს ბეჭდვა და შეფუთვა, შექმნეს ახალი ფორმატი — ახალი ამბების ბოთლი. ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც ბეჭდვურ მედიას ეცნობიან, ყოველწლიურად მცირდება, ამავე დროს იზრდება მინერალური წყლის გაყიდვები. Mainichi-ში ამით ისარგებლეს და ახალი ამბები ბოთლების ეტიკეტებზე დაბეჭდეს. სირთულე კი ის იყო, რომ იდეის ავტორებს სურდათ, მომხმარებელს ახალი ინფორმაცია ბოთლების მეშვეობით ყოველდღიურად მიეღო. ეს ნიშნავს, რომ ერთი თვის განმავლობაში შეფუთვის 31 ვარიანტი უნდა შეექმნათ. ექსპერიმენტის შედეგი ასეთი აღმოჩნდა — 3 ათასი გაყიდული „ნიუსებიანი“ ბოთლი თვის განმავლობაში.



მონაცემთა შენახვა მილიონობით წელი შეიძლება

აცხადებენ იაპონელი სპეციალისტები, რომელთაც შექმნეს მონაცემთა ჩაწერის ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა, ინფორმაცია 300 მილიონი წლის განმავლობაში შეინახოს. ჩაწერისთვის კვარცის შუშისგან დამზადებული დისკი გამოიყენება, ის წარმატებით უძლებს სხვადასხვა ექსტრემალურ დატვირთვას. 1000 გრადუსზე გაცხელებას და არ „ეშინია“ სისველის — საიმედოდ ინახავს ჩაწერილ მონაცემებს.

ობობამ მუცელში გვირაბი გაუყვანა

ახალგაზრდა ავსტრალიელი ისე, რომ თავად ამის სურვილი არ ჰქონია, შვებულებიდან შინ უჩვეულო „სუვენირით“ დაბრუნდა — 21 წლის დილან ტომასმა კუნძულ ბალიდან მუცელზე უზარმაზარი იარა ჩამოიტანა. წითელი ხაზი ჭიპიდან მკერდამდე ადიოდა. როგორც აღმოჩნდა, ეს „გვირაბი“ ახალგაზრდის კანში ტროპიკულმა ობობამ გააკეთა. მოგზაურობისას ავსტრალიელს ექიმთან მისვლა მოუხდა, რომელმაც ჩათვალა, რომ პაციენტს რომელიღაც მწერის ნაკბენი ჰქონდა და მალამო გამოუწერა, თუმცა, კანის მცირე დაზიანება არ გაქრა, პირიქით, ზომაში გაიზარდა და გაიბერა კიდეც. ტომასმა კვლავ მიაკითხა დერმატოლოგს და ამჯერად, მის კანში ტროპიკული ობობა იპოვეს, რომელიც აპენდიციტის ამოჭრის შემდეგ დარჩენილი ნაჭრილობევიდან შეძვრა დილანის კანში. ახლა ავსტრალიელი ბალის სამედიცინო ცენტრიდან დასკვნას ელოდება, სადაც ობობა გადააგზავნეს.

ყავა ასუქებს?

თუკი ადამიანი დღის განმავლობაში ხუთ ფინჯან არომატულ სასმელს მიირთმევს, წონაში მომატების რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, — განაცხადეს ავსტრალიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა. სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ დღეში ხუთი ჭიქა ყავა შინაგანი ორგანოების ირგვლივ, ე.წ. ვისცერალური ცხიმის (ცხიმის ყველაზე სახიფათო სახეობა) მოცულობას აორმაგებს, რაც შინაგანი ორგანოების მუშაობას აფერხებს და ისეთ პროცესებს იწვევს, რაც, თავის მხრივ, სერიოზული დაავადებების მიზეზი ხდება. ყავის ნეგატიურ ეფექტს მასში ქლოროგენის მჟავის არსებობას უკავშირებენ, თუმცა მკვლევართა თქმით, ზომიერი რაოდენობით სასარგებლოა და შაქრიანი დიაბეტის განვითარებას უშლის ხელს. ექსპერიმენტის ფარგლებში, მკვლევარები ლაბორატორიულ თაგვებს დღეში ხუთი ჭიქის ოდენობის ყავის ულუფას აძლევდნენ. შედეგად დადგინდა, რომ მღრღნელებს ორჯერ მეტი ვისცერალური ცხიმი უვითარდებოდათ. ყავის სასარგებლო თვისებების თაობაზე გავრცელებული ცნობების მიუხედავად, მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ ამ სასმელის ჭარბი რაოდენობა წონაში მატებას იწვევს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9	5	8	7	3	6	2	4	1
4	7	1	8	2	9	6	5	3
3	6	2	4	1	5	9	8	7
8	4	9	2	5	1	7	3	6
5	3	7	9	6	4	1	2	8
2	1	6	3	8	7	5	9	4
1	2	4	6	9	3	8	7	5
7	9	5	1	4	8	3	6	2
6	8	3	5	7	2	4	1	9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	3	4	9	7	2	1	6	5
2	1	6	8	5	4	3	7	9
9	7	5	3	1	6	4	2	8
5	9	8	7	6	1	2	4	3
1	6	2	5	4	3	9	8	7
7	4	3	2	8	9	5	1	6
6	5	1	4	3	8	7	9	2
4	2	7	6	9	5	8	3	1
3	8	9	1	2	7	6	5	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	2	7	1	9	8	3	6	5
8	6	5	4	3	2	1	9	7
1	3	9	7	6	5	4	8	2
9	1	4	8	2	7	6	5	3
7	8	6	5	4	3	2	1	9
3	5	2	9	1	6	8	7	4
5	9	1	3	8	4	7	2	6
6	7	3	2	5	1	9	4	8
2	4	8	6	7	9	5	3	1

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

1	8	4	9	5	3	7	6	2
2	3	7	1	6	4	9	5	8
9	6	5	2	8	7	1	3	4
7	5	8	6	4	2	3	1	9
4	9	6	7	3	1	2	8	5
3	2	1	5	9	8	4	7	6
6	7	3	8	2	9	5	4	1
8	1	2	4	7	5	6	9	3
5	4	9	3	1	6	8	2	7

მე-10 გვერდი: 1. ეკვატორი; 2. ევტერპე; 3. ენტერიტი; 4. ვამპუმი; 5. ტრამალი; 6. ვალისნერია; 7. ესკალატორი; 8. პელე; 9. სტამბა; 10. აეროდრომი; 11. ავუარი; 12. ლეკალო; 13. იუმი; 14. ბაჟი; 15. აზუა; 16. სტრიტი; 17. მეი; 18. სოლი; 19. მტლე; 20. იო; 21. დინამომეტრი; 22. ტენოჩტიტლანი; 23. ოინი; 24. მედეო; 25. ნალა; 26. ნოე; 27. მიმი; 28. რძე; 29. საჩმო; 30. მასრა; 31. მანუსკრიპტი; 32. ტამერლანი; 33. მზე; 34. ნომი; 35. ონი; 36. დოჟი; 37. მედინა; 38. ტურკუ; 39. სურინამი; 40. იელოუსტონი; 41. სარქალი; 42. ანისი; 43. მაჟალო; 44. საპალნე; 45. საადი; 46. უტა; 47. რუალ; 48. ლეი; 49. კაისა; 50. ნეზვი; 51 შავი; 52. კაი; 53. კანა; 54. ქვე; 55. რადა; 56. აქტინია; 57. ნუნუა; 58. ნო; 59. ვო; 60. აჩმა; 61. პლიუვიოზი; 62. ბარბი; 63. სან; 64. ფოიე; 65. უბე; 66. სოს; 67. ალისა; 68. კოლო; 69. ვაკე; 70. ტევრი; 71. ტყუფი; 72. ოსტაპ; 73. კუბა; 74. ობი; 75. კობო; 76. სეტი; 77. მი; 78. ნოსტე; 79. სნო; 80. ნეი; 81. სიმონა; 82. აბიო; 83. ნოიერი; 84. იაკი; 85. ბრუტო.

მამაკაცის ერთგულება ფეხის ზომაზეა დამოკიდებული

ახალმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ მამაკაცები, რომლებსაც 43 და მეტი ზომის ფეხსაცმელი აცვიათ, უფრო მოღალატეები, ვიდრე უფრო პატარა ფეხის მქონე კაცები. ყველაზე ერთგული ძლიერი სქესის წარმომადგენლები 40-42 ზომის ფეხსაცმელს ატარებენ. სწავლულებმა საკუთარი კვლევის შედეგები სხვადასხვა ფაქტით გაამყარეს. მაგალითად, ბილ კლინტონს, რომელიც ცოლის ღალატითაა ცნობილი, 45 ზომა ფეხი აქვს. სპეციალისტების თქმით, ფეხსაცმელს შეუძლია არა მხოლოდ ერთგულების შესახებ მიგვანიშნოს. მისი ღირებულება, სტილი, ფერი ადამიანის ემოციურ მდგომარეობას და პოლიტიკურ შეხედულებებსაც კი გვიჩვენებს. ძვირფასი ფეხსაცმელი, ლოგიკურად, წარმატებულ და კარგი ხელფასის მქონეებს ეკუთვნით, მკვეთრი და ფერადი ფერები კი ექსტრავერტების არჩევანია. პრაქტიკულ და ფუნქციონალურ ფეხსაცმელს ისინი ყიდულობენ, ვისაც სხვების გულის მოგება სურს. მშვიდი ადამიანები კი ისეთ ფეხსაცმელს ატარებენ, რომელიც მეტად მოუხერხებლად გამოიყურება.

1. თევზსაჭერი მოწყობილობა
2. ქართული ლუდის მარკა
3.მდინარის ძაბრისებურად გაფართოებული შესართავი
4. ჩქარი ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი მუსიკაში
5. უმაღლესი მიღწევა სპორტში
6. საფრანგეთის კინოკადემიის ჯილდო
7. ბალნეოლოგიური კურორტი გურჯაანში
8.იტალიური ხალხური სწრაფტემპიანი ცეკვა
9. აკრობატთა სხტუნაო ბადე
10.რობერტ ბარძიმაშვილის პირველი ანსამბლი
11. საფრთხის ადგილიდან ადამიანთა ორგანიზ. გამოყვანა
12. მიშა სააკაშვილის უტოპიური ქალაქი
13. ისტორიის მუზა
14. სიმინდის ყვავილედი
15.უზარმაზარი ძალის მქონე გმირი ქართ. მით.
16. სატანვარჯიშო იარაღი
17.რუსების საბრძოლო ყიჟინა
18.თაყვანისცემა ან სინანულით შევრდომა
19. ევროს წინამორბედი ვალუტა
20.ამერიკელი მსახიობი ... ბოლდუინი
21.მხატვარი ... გოგენი
22. რისამე დედაზრი
23.მადრიდის „რეალის“ ლეგენდ. თავდამსხმელი
24.საჩხერეტი იარაღი სპორტულ ფარიკაობაში
25. ნეფერტიტის ქართული თარგმანი
26. დიდი თევზსაჭერი ბადე
27. იგივეა, რაც სურვილი
28.ჰოლივუდის ვარსკვლავი ... შილდსი
29. ნაყოფიერების ქალღმერთი იაპონიაში
30.ოთახის დეკორატიული მცენარე
31. მთა წალკის რაიონში
32.იტალიის ყოფილი ვალუტა
33. საოპერო პარტია
34.თვითმფრინავების ფრენის მარშრუტი
35. წყლის ფრინველი
36.ფრენის სიმაღლის გასაზომი ხელსაწყო
37. საქართველოს ჩრდილოელი მეზობელი
38. მონარქიულ სახელმწიფოთა კავშირი
39. ცხვრების ჯოგი
40. ძვირფასმერქნიანი ხე
41. ბაზრობა თბილისის გარეუბანში
42. ნაპოლეონ ბანაპარტეს მშობლიური კუნძული
43. ლევ ტოლსტოის „... კარენინა“
44. „12 სკამის“ ერთ-ერთი ავტორი
45. დურუ ხუნჭუას ცოლი „რეკორდში“
46. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
47.ბადისებურად მოქსოვილი ჩამოსაკიდებელი საწოლი
48. სამოას დედაქალაქი
49. უკულტურო სამხედრო პირი
50.ხარფუხის უბნის ძველი სახელწოდება
51. ესკიმოსთა ტყავის ქურთუკი
52.ვიეტნამის დედაქალაქი
53.ბუსუსები ქსოვილზე
54. ფულის გათამაშება ბილეთებით
55. მინიატურული სკულპტურა იაპონურ სახვით ხელოვნებაში
57. (ძვ.) სამხედრო საჭურველი, იარაღი
58.უმცირესი ნატურალური ლუწი რიცხვი
59. მხატვარ ბოტიჩელის სახელი
60. ჭადრაკის ფიგურა
61. მახრჩობელა გველი
62. კანადის დედაქალაქი
63. უწყინარი დაცინვა
64. ბაჰრეინის დედაქალაქი
65.არაბული ფლეიტა
66.პანტომიმის მსახიობი
67. მაყურებლებისთვის განკუთვნილი სართულო თეატრში
68. ინდონეზიაში გავრცელებული პატარა ზომის კამეჩი
69. იგივეა, რაც ფირნიში
70.ომონიმებით გარით. ლექსი
71.ქართული გაზეთი
72. სითხის დაგროვება მუცლის ღრუში
73.კედლის ჭაღი
74.ბალახის ჩრდილი
75. სპარსი პოეტი ... ხაიამი
76. კომპიუტერული ინფორმაციის ერთეული
77. კუნძული კარიბის ზღვაში
78. პურეულის სალეწი ადგილი
79. ინდიელთა ტომი
80. კრემიანი ნამცხვარი
81.ფიფას მესამე პრეზიდენტი
82. ბაშკირეთის დედაქალაქი
83. იგივეა, რაც ყალთაბანდი
84. ... ბერიმორი
85. ... სამპრასი
86. ალან მილნის წიგნი „... პუჰი“
87. ჰომეროსის „ილიადაში“ აღწერილი უძველესი ქალაქი
88. ინდური კობრა
89. ჯუზეპე ვერდის ოპერა
90. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა
91. გამოუწვავი აგური

„უჩინარი ქოლგა“ წვიმისგან დაგიცავთ

ჩინელმა გამომგონებლებმა „უჩინარი ქოლგა“ შექმნეს, რომელსაც Air Umbrella უწოდეს და წვიმის წვეთებს ჰაერის ნაკადით ფანტავს. სწავლულების ახალი პროექტის შესახებ ინფორმაცია ორიოდე კვირის წინ გავრცელდა ინტერნეტში და ქსელის მომხმარებელთა ისეთი ინტერესი თუ დადებითი შეფასებები გამოიწვია, რომ მათგან გაღებული თანხით 18 ათასი დოლარი მოგროვდა და კონცეპტიც შეიქმნა. Air Umbrella პლასტმასის მილია, რომლის სიგრძეც 30 სანტიმეტრია — ეს სტანდარტული ზომაა და 50-სანტიმეტრიანი „შემსუბუქებული“ ვერსიაც ქალბატონებისთვის. მთლიანი მოწყობილობა 500 და 800 გრამია შესაბამისად. პლასტმასის მილის ბოლოს მოთავსებულია, ე.წ. საჰაერო ბლოკი. მცირე მოტორის მეშვეობით ეს ბლოკი ისრუტავს, შემდეგ კი გამოუშვებს ჰაერის ნაკადს იმგვარად, რომ ამ ნაკადმა უკუაგდოს წვიმის წვეთები და ქოლგის მფლობელის თავსზემოთ სისველისგან დაცული სივრცე შეიქმნას.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲠᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5		2		1				
4		9						
7						1	9	
3				7	1		8	
		1		3		6		
	2		4	8				5
	3	4						7
						8		1
				9		2		6

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1	3			8	2			
9		8		6				
4					1			
8						7		3
	1	2				6	4	
5		7						8
			8					4
				4		5		7
			5	3			2	9

ᲠᲗᲣᲚᲘ

	1		3	5				
2	3		6			1		
					1	9	3	
	5					6		3
		8				2		
4		1					5	
	4	9	7					
		7			6		2	4
				1	4		6	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	6							
	1	4						
9			8	5	4		1	
7				2	3		9	
		1				7		
	9		7	6				4
	8		2	1	6			9
						8	2	
							3	5

ავსტრალიურმა კენკრამ კიბო დაამარცხა

პრეპარატმა, რომელიც იშვიათი ავსტრალიური მცენარისგან დაამზადეს, ორ კვირაში 70%-ით გაანადგურა სიმსივნური წარმონაქმნი საცდელ თაგვებზე. წამალს, კოდური სახელწოდებით EBC-46, ჰილანდიას (Hylandia dockrillii) კურკებისგან იღებენ, რომელიც მხოლოდ ავსტრალიაში, ქვინსლენდის შტატის ტროპიკულ ტყეებში ხარობს. სწავლულებმა „მწვანე კონტინენტიდან“ ახალი პრეპარატის ინექცია უშუალოდ მელანომაში გააკეთეს, მღრღნელების კანზე, ასევე 300 შინაური ცხოველის (ძაღლების, კატებისა და ცხენების) სიმსივნეებში კისერზე, თავსა და ნაწლავებში. ინექციიდან ხუთი წუთში, მელანომას ირგვლივ ადგილი იასამნისფერი ხდებოდა, როგორც ჰემატომის დროს, ერთი დღეღამის შემდეგ შავდებოდა, ორი დღის მერე ხმობას იწყებდა, ორ კვირაში კი გამხმარი კანი თავად სძვრებოდა. მის ქვეშ სუფთა კანი იყო, კიბოს ყოველგვარი ნიშნის გარეშე. მკვლევარების მოსაზრებით, პრეპარატი უჯრედულ რეაქციას იწყებს, რომლის დროსაც სიმსივნე სისხლით აღარ მარაგდება. ადამიანის ორგანიზმი მელანომას ჩვეულებრივ ჩალურჯებად აღიქვამს და ააქტიურებს აუცილებელ იმუნურ რეაქციას. შედეგად კი სიმსივნიანი კანი „სუფთავდება“, თუმცა კვლევების დროს აღმოჩნდა, რომ წამალი უშედეგოა სხვა ორგანოებზე გადასული კიბოს უჯრედების (მეტასტაზებისას) წინააღმდეგ. მეცნიერების თქმით, ახალი პრეპარატი მთლიანად ვერ ჩაანაცვლებს ქიმიოთერაპიას, მაგრამ წარმატებული კლინიკური ცდების შემთხვევაში (ამის ნებართვა მკვლევარებს უკვე აქვთ), იმ პაციენტებს ურჩევენ, ვისთვისაც ქიმიოთერაპია აკრძალულია.

ალუმინი ტვინს ემუქრება

ალუმინს, რომელიც შედის საკვების, წამლებისა და კოსმეტიკის შემადგენლობაში, შეუძლია ალცჰეიმერის დაავადების პროვოცირება — ასეთ განცხადებას კილის უნივერსიტეტის სწავლულები აკეთებენ. აღსანიშნავია, რომ ეს მეტალი ბევრ გადამუშავებულ პროდუქტშია — ჩაიში, ღვინოში, ასპირინში, გაზიან სასმელში. კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ზოგიერთი ადამიანის ტვინში ალუმინის ნადები იყო. გარდა ამისა, ალუმინს შეიცავს ნიადაგი და წყალიც, ის გადადის მცენარეებშიც. ბოლო დროს ამ მეტალს აქტიურად გამოიყენებენ მრეწველობაშიც, შედის კბილის პასტის, ტალკის, ასპირინის, მზისგან დამცავი კრემის, ვაქცინებისა და ანტაციდების შემადგენლობაში. ალუმინი ილექება ტვინში, ძვლებში, ღვიძლში, კუნთებში, გულში. თუ ადამიანს უკვე აწუხებს ტვინთან დაკავშირებული დაავადება, ალუმინი მას უფრო გააღრმავებს.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



სისხლის დონორები დიდხანს ცოცხლობენ

როგორც აღმოჩნდა, სისხლის ჩაბარება არა მხოლოდ საპატიო, არამედ სასარგებლოც ყოფილა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დონორები ხუთი წლით უფრო დიდხანს ცხოვრობენ. სისხლის ჩაბარების შემდეგ მათ ინფარქტის, ინსულტისა და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკი უმცირდებათ, რადგან მავნე ნივთიერებები, რამაც შესაძლოა, ათეროსკლეროზი გამოიწვიოს, ვერ ახერხებს სისხლში დაგროვებას, თუკი ადამიანი რეგულარულად აბარებს სისხლს. გაირკვა ისიც, რომ დონორების ორგანიზმი გაცილებით სწრაფად ახდენს განახლებას და გაახალგაზრდავებას. გარდა ამისა, ასეთ ადამიანებს ყოველი სისხლის ჩაბარებისას იკვლევენ, რაც საშუალებას იძლევა, დაავადება ადრეულ სტადიაზე გამოავლინონ და უმკურნალონ. სისხლის ჩაბარებისას კი დაინფიცირების შიში არ უნდა გვქონდეს, რადგან დღეს ყველა ნორმალურ კლინიკაში ერთჯერად, სტერილურ საშუალებებს იყენებენ.

ᲜᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲐᲭᲠᲘᲩᲘ... ᲤᲔᲙᲐᲚᲘᲘᲗ

ამერიკელი სწავლულები ნაწლავური დაავადებების სამკურნალოდ უჩვეულო პროდუქტს... ადამიანის ფეკალიებს იყენებენ. ამ მიმართულებით კვლევები დიდი ხანია მიმდინარეობდა, ახლა კი მათ უნივერსალურ მეთოდს მიაგნეს. ფეკალიებში უამრავი მიკროორგანიზმია, რომელიც აუცილებელია ნაწლავების ფუნქციონირებისთვის. „კარგი“ და „ცუდი“ ბაქტერიების სწორი ბალანსი უზრუნველყოფს მის „გამართულ“ მუშაობას. თუ „ცუდი“ ბაქტერიები სჭარბობს, ნაწლავების მუშაობაში უკვე პრობლემები იქმნება. ამის გამოსასწორებლად ჯერ კიდევ 1958 წელს მოიფიქრეს მეცნიერებმა, „ცუდ“ ბაქტერიებთან „კარგები“ „შეეგზავნათ“. ამ ექსპერიმენტული მეთოდით მაშინ პაციენტი გამოაჯანმრთელეს, რომელსაც ძლიერი დიარეა აღენიშნებოდა. თუმცა, თავად თერაპია მეტად მოუხერხებელია: ფეკალიები წვრილი მილის მეშვეობით ან ცხვირიდან შეყავდათ, ანდა ოყნას აკეთებდნენ. ეს არა მხოლოდ უსიამოვნო შეგრძნებაა, არამედ გარკვეულ რისკებსაც უკავშირდება. გარდა ამისა, მკურნალობა ვერ იქნებოდა მასობრივი. ამჯერად ამერიკელმა მკვლევარებმა შექმნეს კაფსულა, რომელშიც გაყინული ფეკალიებია. პრეპარატის ეფექტურობა კი არანაკლებია, ვიდრე წინა მეთოდისა, თანაც რისკებისა და უსიამოვნო შეგრძნების გარეშე. სწავლულებმა ექსპერიმენტებიც ჩაატარეს, რომლის დროსაც 20 მონაწილედან 18 სრულად გათავისუფლდა დიარეისგან. ამგვარი კაფსულების შექმნაზე ადრეც ფიქრობდნენ მკვლევარები, მაგრამ ვერ ახერხებდნენ, სწორად გაეყინათ ფეკალიები. საქმე ისაა, რომ ჯანმრთელი ბაქტერიების სიცოცხლის ხანგრძლიობა არ აღემატება ექვს საათს. გარკვეული დამუშავების შემდეგ, ნაწლავური დაავადებების სამკურნალო ახალი პრეპარატი, ალბათ, მალე გამოჩნდება გაყიდვაში.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-დან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:
ვადა: 12 თვე
გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24-საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;

3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

1. ხუთი შემსრ. შედგენილი ანსამბლი
2. ხემიანი მუსიკალური საკრავი
3. წმინდა მოგება კრიკეში
4. ქვეყანა ეფრატსა და ტიგროსს შორის
5. გვერდზე ცურვის ხერხი
6. კულტურის ძეგლთა განადგურება
7. ინდოეთში მცხოვრები რუსი მსატვარი
8. (ისტ.) დაქირავებული ჯარი
9. მექანიზმი ტყვრთის მც. სიმაღლეზე ასაწევად
10. რუანდის დედაქალაქი
11. ძვ. სიმებიანი საკრავი
12. მდინარე ლიტვაში
13. შესვენება სათეატრო წარმოდგენის ორ მოქმედებას შორის
14. იტალიის დედაქალაქი
15. ქლიავის ჯიში
16. მყარი სათბობი
17. ჟანგმიწა
18. ღამის ფიზიოლოგიური მდგომარ.
19. რუსი საბჭოთა კომიკოსი
20. თვითმფრინავების ბოლოების მოძ. ზედაპირი
21. ევროპელი ებრაელების ენა
22. სინათლის სიჯაშკაშის ერთეული
23. ვესპუჩის სახელი
24. წამლის ბურთულა
25. იგრეკის „კოლეგა“ მათემატიკ.
26. მუსიკოსი ... ჯაგერი
27. ჩაის ჭურჭლის მთელი კომპლექტი
28. პოლონური კათოლიკური ტაძარი
29. ნახატი სააგიტაციო ტექსტით
30. აშშ-ის შტატი
31. გერმან. ნაკრების ნახევარმცველი
32. ესპანური ფეხბურთის გრანდი
33. (ძვ.) საბურთალი კავი
34. ქართული ანბანის V ასო
35. სურნელოვანი მწვანილი
36. ღვთისმშობლის სახელი
37. წითელი ფერის ძვირფასი ქვა
38. წილი საერთო საქმეში
39. მდინარე ბერნში
40. წოდებულება, ხარისხი
41. კინოთეატრი თბილისში
42. ტბა ფინეთში
43. ვულკანი ფილიპინებზე
44. ესპერანტოს ვარიანტი
45. იგივეა, რაც სასულე
46. აშშ-ის კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სააგენტო
47. შოლოხოვის წყნარი მდინარე
48. ფრე ჭადრაკში
49. ფრანგი ავტომრბოლელი ... პროსტი
50. სინათლის ვიწრო ზოლი
51. მუსიკალური გამის V ნოტი
52. მევიოლინე ვანესა ...
53. ჯოჯოხეთის ცეცხლი
54. სიჯარუელის ღმერთი რომაულ მითოლოგ.
55. მწერალი ... ზოლა
56. ოქროთი მდიდარი რეგიონი კანადაში
57. სოფელი სენაკის რაიონში
58. მზის სისტემის პლანეტა
59. თიხის ჩასაბერი საკრავი
60. მთის თუთიყუში
61. საფრანგეთიდან შემოტანილი ვაზის ჯიში
62. ნიგერის დედაქალაქი

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.